ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1978 • ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ 6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ • № 5 (17049) • ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ. 1978

ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲕᲠᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲠᲔᲚ ᲠᲘᲒ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲡᲚᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡᲐᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ.

ᲐᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲛᲘᲪᲐᲛ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ, ᲤᲔᲘᲥᲠᲘ ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲮᲛᲘᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ წინ შესრულა თავისი ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ და სამშობლოს ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ორი წლის გეგმის შესრულება უპატაჟა. კომკავშირელი ც. ᲮᲛᲘᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ თბილისის № 36 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულია. მან ორი წლის წინათ დაამთავრა ეს სასწავლებელი და გაერთიანების მეთაურ საწარმოში დაიწყო ფეიქრად მუშაობა. ამ დროის მანძილზე ქალიშვილმა დიდ წარმატებებს მიაღწია. იგი კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრია, მუშაობს გრაფიკის ᲬᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ გასწრებით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მოწინავე ფეიქარი ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲮᲛᲘᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

Ს. ᲔᲓᲘᲨᲕᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲓᲐᲛᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ

Გ. Ნ. ᲙᲣᲠᲗᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ „ᲪᲔᲜᲢᲠᲝᲚᲘᲢᲘᲡ“ ᲛᲔᲥᲝᲯᲔᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ Გ. Ნ. ᲙᲣᲠᲗᲐᲜᲘᲫᲔ.

Გ. Ნ. ᲙᲣᲠᲗᲐᲜᲘᲫᲘᲡ მეკოპეთა ბრიგადამ, რომელიც ახორციელებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებით აღფრთოვანებულმა გაშალა შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად და წარმატებით გაანადღა ხუთწლედის ორი წლის ვალდებულებანი. ბრიგადის თითოეულმა წევრმა დაამზადა ღეროები 920 ტონა თეჯის სხმულისათვის, ნაცვლად საგეგმო 830 ტონისა. ბრიგადამ ორწლიანი გეგმა 122,7 პროცენტით შეასრულა.

მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, წარმოების კულტურისა და დისციპლინის ამაღლების შედეგად ᲣᲚᲑᲐᲨᲘᲐ წინა ხუთწლედის ორი წლის შედეგების მიხედვით 0,9 პროცენტამდე შემცირდა, ნაცვლად აღებული ვალდებულებით გათვალისწინებული 1,3 პროცენტისა. წინის შემცირებისგან მიღებული ეკონომიკური ეფექტი 6,2 ათას მანეთს შეადგენს. ერთი კვადრატული მეტრი საწარმოო თარეთობიდან მიღებულია 124 მანეთის პროდუქცია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 160 მანეთისა. ორეულ ღეროებს დამზადების პროგრესული მეთოდების გამოყენების საფუძველზე მიღწეულია 30,5 ათასი მანეთის ძირითადი ტექნოლოგიური მასალებისა და ნედლეულის ეკონომია.

ბრიგადამ, რომელიც მეათე ხუთწლედის მესამე წლის შრომითს ვახტზე დადგა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების დებულებათა და დასკვნებით ხელმძღვანელობს, შემდეგი ვალდებულებანი იკისრა:

მიმდინარე წლის გეგმა შეასრულოს 7 ოქტომბრისათვის — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების დღისათვის. თითოეულმა გეგმის გადაჭარბებით დაამზადოს ღეროები 1.250 ტონა სხმულისათვის (7.050 ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.800 ტონისა).

ხუთწლედის სამი წლის გეგმა შეასრულოს მეტალურგის დღისათვის — 1978 წლის 16 ივნისისათვის.

წუნის დონე 10 პროცენტით შეამციროს 1977 წელს მიღწეულთან შედარებით;

დანერგოს 10 რაციონალური წინადადება, რაც მას 2.500 მანეთის ეკონომიკურ ეფექტს მისცემს;

ნედლეულისა და მასალების ეკონომიის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით მიაღწიოს 5.000 მანეთის ეკონომიას;

ბრიგადის ოთხმა წევრმა აითვისოს მომიჯნავე პროფესიები;

მიაღწიოს წარმოების სანიმუშო კულტურას უბანზე, საამქროში; განამტკიცოს შრომითი და საწარმოო დისციპლინა; ბრიგადის წევრებმა გამოიჩინონ მაღალი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ამხანაგების მიმართ; მიაღწიონ იმას, რომ მეათე ხუთწლედის მესამე წელს საამქროს კოლექტივმა მოიპოვოს წოდება — „კომუნისტური შრომის საამქრო“.

ბრიგადამ გადაწყვიტა განახორციელოს რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივები „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით“, „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია!“, შეეობა გაეწიოს 119-ე საშუალო სკოლის ერთ-ერთ ჩამორჩენილ კლასს და მიაღწიოს იმას, რომ იგი სანიმუშო-საჩვენებელ კლასად გადაიქცეს.

ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲔᲑᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲔᲜ...

ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ რა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საბჭოთა ადამიანების „ეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, დამკვიდრებულად შრომობენ ახმეტის რაიონის მეცხვარეები. დიდი წარმატებებს მიაღწიეს მათ მეათე ხუთწლედის მეორე წელს მატყლის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში. წარმოებულია 1952 ცენტნერი მატყლი გეგმით გათვალისწინებული 1.820 ცენტნერისა და სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებული 1.920 ცენტნერის ნაცვლად.

1977 წელს მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის შრომრეალებმა. გაშალეს რა შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მათ საშუალოდ ერთ ცხვარზე მიიღეს 2,49 კილოგრამამდე მატყლი გეგმით გათვალისწინებული 2,29 და ვალდებულებით გათვალისწინებული 2,45 კილოგრამის ნაცვლად. გეგმის გადაფერტხით საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეებმა სახელმწიფოს მიყიდეს 65 ცენტნერი მატყლი.

უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს მეურნეობის ცალკეულმა მეცხვარეობის ბრიგადებმა. მაგალითად, ი. გაფრინდაულის ბრიგადამ თითოეულ ცხვარზე მიიღო 3,35 კილოგრამი მატყლი გეგმით გათვალისწინებული 2,5 კილოგრამისა და ვალდებულებით გათვალისწინებული 2,6 კილოგრამის ნაცვლად. ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ე. თავბერიძე ხელმძღვანელობს, თითეულ ცხვარზე მიიღო 3,09 კილოგრამი მატყლი გეგმით გათვალისწინებული 2,28 კილოგრამისა და ვალდებულებით გათვალისწინებული 2,35 კილოგრამის ნაცვლად.

ახმეტის რაიონის მეცხვარეებმა, რომლებმაც მოქმედების საბრძოლო პროგრამად აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, გადაწყვეტილ ხუთწლედის მესამე წელს უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიონ. **მათ აკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ 1978 წელს მატყლის წარმოება (საზოგადოებრივ სექტორში) გაადიდონ 2.103 ცენტნერამდე გეგმით გათვალისწინებული 2.075 ცენტნერის ნაცვლად; მიაყიდონ სახელმწიფოს 3.150 ცენტნერი მატყლი გეგმით გათვალისწინებული 3.050 ცენტნერის ნაცვლად.**

ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ი. გაფრინდაულის ბრიგადამ გადაწყვიტა აწარმოოს და სახელმწიფოს მიაყიდოს 54 ცენტნერი მატყლი გეგმით გათვალისწინებული 32 ცენტნერის ნაცვლად.

ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ე. თავბერიძე ხელმძღვანელობს, პირობა დადო, რომ აწარმოებს და სახელმწიფოს მიაყიდის 50 ცენტნერ მატყლს, გეგმით გათვალისწინებული 39 ცენტნერის ნაცვლად.

თანამმდგომლად ახორციელებენ რა პარტიის პოლიტიკას მეცხოველეობის პროდუქციის შემდგომი ზრდის საქმეში, რაიონის მეცხვარეებმა გადაწყვიტეს გაიმჯობესონ პირუტყვის მოვლა, შეამცირონ პირუტყვის იძულებითი დაკლა და გაწყდომა, 5 პროცენტით შეამცირონ მატყლის თვითღირებულება, პირნათლად შეასრულონ მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი.

სოციალისტური ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲕᲐᲜᲐᲮᲚᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

(საქინფორმი).

ᲞᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ

ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲛᲮᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲦᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲡ ᲛᲔᲠᲒᲝᲠᲔ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲙᲘᲚᲝᲕᲐᲢᲡᲐᲐᲜᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲗᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲮᲣᲗ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲠᲐ ᲛᲘᲢᲘ ᲮᲜᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲮᲔᲡ ᲛᲔᲠᲒᲝᲠᲔ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲙᲘᲚᲝᲕᲐᲢᲡᲐᲐᲜᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲗᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲡᲚᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲔᲐᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲪᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ-1-ᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲑᲘᲜᲔᲑᲘ.

ᲓᲐᲠᲕᲜᲘᲚᲘ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ-1-ᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲔᲠᲒᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲛᲘᲪᲐᲛ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ, ᲤᲔᲘᲥᲠᲘ ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲮᲛᲘᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲣᲐᲗᲐᲢᲐᲯᲐ. ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲘ Ც. ᲮᲛᲘᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 36 ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲗᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲘᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ. ᲘᲒᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲐ, ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მოწინავე ფეიქარი ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲮᲛᲘᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

Ს. ᲔᲓᲘᲨᲕᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ ᲔᲓᲕᲐᲠᲓ ᲒᲔᲠᲔᲙᲡ

ძვირფასო ამხანაგო გერეკ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გულთბადად გიდოცავენ თქვენ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტურ პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს დაბადების მე-60 წლისთავს.

ჩვენს ქვეყანაში თქვენ კარგად გიცნობენ როგორც ჩვენი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის დიდ მეგობარს, ᲞᲐᲢᲘᲪᲘᲐ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲢᲘᲡ, ინტერნაციონალისტს, რომელიც კლასობრივი ბრძოლის პროლეტარული სკოლა. თქვენ სამართლიანად მოიპოვეთ დიდი ავტორიტეტი და პოლონეთის მშრომელთა აღიარება იმ შესანიშნავ წარმატებებში წვლილისთვის, რომლებსაც პოლონელნი ხალხნი სოციალისტურ მშენებლობაში მიაღწია თავისი მებრძოლი ავანგარდის — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ იმ ფაქტს, რომ თქვენი მეგზური ზრუნვისა და ყურადღების საგანია ჩვენი ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ მეგობრობის განმტკიცება. სოციალისტური თანაშეგობრობის შეკავშირების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის საქმე.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო გერეკ, ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს სოციალისტური პოლონეთის კეთილდღეობისათვის, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის, თქვენს საქმიანობაში.

კომუნისტური სალამით

Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲐ ᲔᲓᲕᲐᲠᲓ ᲒᲔᲠᲔᲙᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში უთვალსაჩინოესი როლის, შეტანილი ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ და ᲪᲘᲪᲘᲜᲝᲑᲘᲡᲐ, განმტკიცების საქმეში დიდი წვლილის აღსანიშნავად და დაბადების მე-60 წლისთავად დაჯილდოდეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ პირველი მდივანი ამხანაგი ᲔᲓᲕᲐᲠᲓ ᲒᲔᲠᲔᲙᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი Მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲜᲘ. 1978 წლის 5 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

5 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** კრემლში მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლორდი **მაიკლ კილანინი**, რომელიც მოსკოვში იმყოფება „ოლიმპიადა — 80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევით.

საუბრის დროს განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიც არის XXII ოლიმპიადის ასპარეზობათა მოწყობა და ჩატარება მოსკოვში, საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის განვითარება, რომელიც ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგებისა და ნდობის განმტკიცებას, მშვიდობის შენარჩუნებისა და დამკვიდრებას.

საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

5 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაიმართა შოთა რუსთაველის სახელობის ლაურეატის დიპლომებისა და საქერდე ნიშნების გადაცემა ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებისათვის, რომლებსაც ეს მაღალი წოდება მიენიჭათ 1977 წელს ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში თვალსაჩინო ნაწარმოებებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარიძემ რუსთაველის სახელობის ლაურეატის დიპლომები და საქერდე ნიშნები გადასცა საქართველოს სახალხო მხატვარს კ. სანაძეს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს გ. ხალიბაძეს, მწერალ რ. ინანიშვილს.

ამხანაგმა ზ. პატარიძემ გულთადად მიულოცა ლაურეატებს, ახალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა მათ და რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი შექმნიან ჩვენი ეპოქის შესაფერ ახალ შესანიშნავ ნაწარმოებებს.

რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებმა კ. სანაძემ, გ. სალარაძემ, რ. ინანიშვილმა დიდი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

ლაურეატებისათვის დიპლომებისა და სამკერდე ნიშნების გადაცემას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. აბაშიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. ფორეოლიანი.

(საქინფორმი).

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲚᲘᲡ ᲧᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ

5 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** სსრ კავშირის ჯილდოები გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივარს **მ. ა. სუსლოვს**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **შ. რ. რაშიდოვს**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის კულტურის მინისტრს **ბ. ნ. დემიჩევს**, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, საბჭოთა კავშირის მარშალს **ნ. ვ. ოგარკოვს**, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს, არმიის გენერალს **ნ. ა. შჩოლოკოვს**, სსრ კავშირის სამინაკლიო ინდუს

ადამიანი, დრო და ტრადიციები

ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლას — იდეოლოგიური უზრუნველყოფა!

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე თელავში

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ თელავში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ტრადიციები, წესჩვეულებები, თანამედროვეობა“.

იგი მოეწყო საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ინიციატივით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის დიდმნიშვნელოვანი დადგენილების — „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ მიღების დღიდან ორ წელიწადზე მეტი გავიდა და ამ დადგენილების განხორციელებისათვის რესპუბლიკაში უკვე ბევრი რამ გაკეთდა, ამიტომ ეს კონფერენცია ერთგვარად აჯამებდა იმ შედეგებს, რაც კეთდება ჩვენი სოციალისტური ცხოვრების ყველა სფეროში ძველი, დრომოჭმული წესჩვეულებების აღმოსაფხვრელად, ჯანსაღი, ახალი ტრადიციების დასამკვიდრებლად და გასავითარებლად. ქ. თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში, სადაც თავი მოიყარეს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წარმომადგენლებმა — ფილოსოფოსებმა, სოციოლოგებმა, ეთნოგრაფებმა, ისტორიკოსებმა, იურისტებმა და ზოგიერთი სხვა დარგის სპეციალისტებმა, რაიონის პარტიულმა და საბჭოთა აქტივმა, ინსტიტუტის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა, უაღრესად პრინციპული, ჯანსაღი, პირუთვნელი საუბარი გაიმართა იმ შედეგებსა და ნაკლოვანებებზე, რაც გვაქვს დღეს ჯანსაღი ტრადიციების დანერგვისა და დრომოჭმული ადათ-წესების აღმოფხვრის საქმეში.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კობაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა გ. ჯიბლაძემ, პროფესორებმა გ. ბანძელაძემ, ბ. ლუტიძემ, ვ. ქვაჩახიამ, ა. ბეგიაშვილმა.

შემდეგ მუშაობა წარიმართა სექციების მიხედვით. სულ კონფერენციაზე მოისმინეს 40-მდე მოხსენება. სექციების მუშაობას ხელმძღვანელობდნენ პროფესორები ა. ბეგიაშვილი, გ. ბანძელაძე, ვ. ქვაჩახია, დოცენტი ო. გაბიძაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი დ. ლოლაძე. თითოეული სექციის მუშაობა შესაბამისად წარიმართა ისეთი მნიშვნელოვანი თემების გარშემო, როგორიც არის: „ტრადიციების არსი და სოციალური ფუნქცია“, „ქართული ტრადიციების ეთიკური ანალიზი“, „ტრადიცია და რელიგია“, „ეროვნული ტრადიციების სოციოლოგიური გამოკვლევის საკითხები“ და „ტრადიციები სოციალისტურ საზოგადოებაში“.

კონფერენციამ ცხადყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს ერის ისეთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, როგორიც არის ჯანსაღი ტრადიციების დაცვა დამახინჯებებისაგან და მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლა.

დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ძირითად დებულებებს პლენარულ სხდომაზე გაკეთებული მოხსენებებიდან.

□

ჯანსაღი ტრადიციების დაცვა საყოველთაო-სახალხო საქმეა

გ. ჯიბლაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

ჩვენი დრო უაღრესად დინამიკურია, ინტენსიური, აჩქარებული ტემპით ხასიათდება. ეს თავისებურ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზეც.

სამოცი წლის წინათ მოზღვავმა ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიო შესძრა. გაიხსენეთ ამერიკელი მწერლის ჯონ რიდის სახელგანთქმული წიგნი — „სამი დღე, რამაც შეძრა ქვეყნიერება“. თუ ათმა დღემ ეს გააკეთა, წარმოიდგინეთ ის დიდი გარდაქმნები, რაც მოხდა სამოცი წლის მანძილზე. ამიტომ იყო, რომ არ დარჩენილა ცივილიზებული ქვეყანა, რომელსაც არ აღენიშნა ოქტომბრის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა. ეს კარგად არის ნაჩვენები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში. საიუბილეო-საზეიმო სხდომაზე — „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი“, აგრეთვე ჟურნალ „პრობლემი მირა ი სოციალიზმს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში — „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა“.

დღეს სოციალისტური ბანაკი ოქტომბრის დროშით იბრძვის, ინგრევა ძველი მსოფლიო, ყალიბდება ახალი ადამიანი, ახალი მორალი.

მაგრამ ჩვენში ახალი ადამიანის, ახალი მორალის ჩამოყალიბებას ჯერ კიდევ ხელს უშლიან მავნე ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა გამოვაყენოთ ისეთი მარჯვე იარაღი, როგორიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაა „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

ტრადიცია თავისთავად დადებითი მოვლენაა, როცა ის ხალხის შექმნილია და გარეგანი ფაქტორების შედეგს არ წარმოადგენს. მათში გარკვეული ქმედითობაა, მაგრამ ხშირად მათი განვითარების პროცესი ნეგატიურ ხასიათს იღებს.

ქართველი ხალხი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ერია. მან შექმნა უძველესი კულტურის ძეგლები, შექმნა უძველესი ტრადიციები. მაგრამ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მავნე და საპირო ტრადიციები, ცალკე განვიყოთ ის სტუმართმოყვარეობა, რომლითაც კანონიერად ვამაყობთ და ის, რომელიც ჩვენს მიერვე ხშირად მახინჯდება. ქართული სუფრის კეთილმა ტრადიციებმა ჩვენივე მიზეზით მიიღო დამახინჯებული სახე, რაც გამოიხატა დაგაჰარბებულ ღრეობებში. ქელეხებში. გაიხსენეთ, როგორ დასდინოდა მათ აკაკი წერეთელი, კერძოდ, ღვინის დაძალებას, ლოთობას, მლიქნელობას. ჩვენში ჯერ კიდევ არიან ცხოვრების ანტიპოდები, მლიქნელები, გაიძვერები, მეკრთამეები, წურბელები. ისევ გაიხსენეთ აკაკის შესანშნავი ლექსი, რომელშიაც დათუნიას ემლიქნელება მელაკუდა, ატყუებს მას, უწონებს ძუძუსს, როგორც მშვენიერ ცეკვას.

დაგმობა ცუდისა, დაგმობა უარყოფითისა და ნეგატიურისა, ეს ყველა პატიოსანი ადამიანის უპირველესი ვალია. ჩვენი კონფერენციაც ამ მიზანს ისახავს, მაგრამ ეს მუშაობა არ უნდა იყოს მარტო თეორიული, მას უნდა ჰქონდეს პრაქტიკული ხასიათი. ჩვენ არა მარტო სიტყვით, თეორიულად უნდა ვამობდეთ ორპირ, გაორებულ ადამიანს, არამედ ვებრძოდეთ კიდეც მას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გვეუბნება, რომ ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა კეთილ ტრადიციათა მოქმედების სფეროს გაფართოება. მათი მთლიანად გამოყენება აღმზრდელობითს მუშაობაში. ამასთან ჩვენს ხელთ არის მავნე ტრადიციებთან ბრძოლის ისეთი ეფექტიანი საშუალება, როგორიცაა ახალი საბჭოური ტრადიციების დამკვიდრება — ეს არის შრომის ზეიმი თუ სხვადასხვა სახალხო ღონისძიებანი, მაგალითად, „შოთაობა,“ „ალეკსანდრეობა“, „იაკობობა“ და სხვა მრავალი.

ახალი ადამიანი შრომასა და ბრძოლაში, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ყალიბდება. ქართულ ტრადიციებს (მე ეხებოდეთ ბაში მაქვს მხოლოდ კეთილი, მოწონაცე, კარგი ტრადიციები) დაცვა უნდა და არა გაყალბება. ეს საყოველთაო-სახალხო საქმეა და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენის ერის სოციალისტური სახის გამოძერწვასა და შემდგომ ჩამოყალიბებაში.

თელავის კონფერენციის გამოცდილება საპირო ა გავავრცელოთ. ამგვარი კონფერენციების სხვა რაიონებშიც ჩატარება უეჭველად სასურველ შედეგს მოგვცემს.

პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობა — მაღალ დონეზე

ა. კობაძე,

საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი.

სკკპ XXV ყრილობამ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის რთული და პასუხსაგები ამოცანები დააყენა. იგი მოითხოვს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობას, ამ მუშაობის წარმართვას მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მტკიცე საფუძველზე მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებათა მაქსიმალური გათვალისწინებით.

ამავე ამოცანას ემსახურებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება მეტად საპირო და დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, მაგრამ, ცხადია, დადგენილება დადგენილებად დარჩება, თუ პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობა არ უზრუნველყოფს მის განხორციელებას.

თელავის პარტიულმა ორგანიზაციამ გარკვეული მუშაობა გასწია ამ მხრივ და, შეიძლება ითქვას, მოსალოდნელზე უკეთესი შედეგი გვაქვს, კერძოდ რელიგიური დღესასწაულების სახალხო დღესასწაულებით შეცვლის საქმეში. „ამაღლება“ შეიცვალა „შოთაობით“, ფშაველი მოსახლეობის 5 სხვადასხვა რელიგიური დღესასწაული შეიცვალა „ეიკობობით“. წინანდლელმა მშრომელებმა შემოიღეს „ალეკსანდრეობა“ და სხვა.

ამა წლის 23 მაისს დიდი ხალხმრავლობა იყო ალავერდის მონასტერში, მაგრამ უცნო თვალიც მიხვედებოდა, რომ აქ ტრადიციული, რელიგიური დღესასწაული „ალავერდობა“ როდი იყო, აქ არც ღამისმთეველთა გადაჰარდახებული ურმები მოჩანდა და არც სამსხვერპლოდ გამზადებული ფრინველი და პირუტყვი მოუყვანიათ. მონასტერში საქართველოს სახელმწიფო კანცლერი მიმდინარეობდა, რომლის სასწაულებრივი ღოვრდობა მსმენელს აჯადოებდა.

ეს ღონისძიება პირველი როდია. თელავის მუსიკალური სასწავლებლის გოგონრთა და ვაჟთა ანსამბლები ხშირად მართავენ კონცერტებს ალავერდისა და იყალთოს მონასტერში. წინანდლელებმაც გადაწყვიტეს რომ თავიანთი სოფლის ძველი ეკლესია შეაკეთონ, მოაწყონ და ამ დანიშნულებით გამოიყენონ.

ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია, და, ცხადია, ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მიღწეულით დავკმაყოფილდეთ. გვქონდა სიძნელეებიც და ნაკლოვანებებიც. დღევანდელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ეჭვგარეშეა, დაგვეხმარება ამ ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლის დაჩვეწის საქმეში.

წინაღმდეგობები და სიძნელეები კი ცოტა როდი გვხვდება მუშაობაში, რაც როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური გარემოებებით უნდა აიხსნას. ქალაქში ჯერჯერობით არა გვაქვს ქორწინების სახლი, მმაჩის ბიურო ერთ პატარა ქოხშია მოთავსებული, ამიტომ არ ხერხდება ქორწინების საზეიმოდ აღნიშვნა და ზომიერების ფარგლებში მისი დაკანონება. თუმცა, ისევე უნდა ითქვას, რომ კახეთში და, კერძოდ, თელავში ქორწილებს და ქელეხებს არ მიუღია ის გადაჭარბებული და ანგარებით სახე, მაგრამ ამ მასშტაბებიც, რაც ქელეხებსა და სასაფლაოების მოწყობაში არსებობს, ზომიერების ფარგლებში მოყვანას, შეზღუდვას მაინც მოითხოვს.

შევძლებთ კი ჩვენ ამის გაკეთებას? რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ვერა, რადგან საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კეთილმოსახურების ბიუროსაამისოდ არ არის მზად, დადგენილებით წაყენებულ მოთხოვნებს იგი მხარს ვერ აუბამს.

პარტიული ორგანიზაციების ერთი ნაწილი შემწყალრებლურ დამოკიდებულებას იჩენს არსებული მდგომარეობის მიმართ. რაიონული გაზეთიც არ ჩამდგარა ამ ღონისძიების გატარებისათვის ბრძოლის სამსახურში და, ცხადია, ამიტომაც გასაკეთებელი კიდევ უფრო ბევრი დგგრავდა. მავნე ტრადიციებსა და წესჩვეულებებთან ბრძოლაში, ახლის, ცხოვრების საბჭოური წესის პროპაგანდის საქმეში განებივრებული როდი ვართ ამ თემაზე შექმნილი სპექტაკლები, კინოფილმებით, ლიტერატურით. ეს საქმეს კიდევ უფრო ართულებს.

ყარაჯალის მოსახლეობის სასოფლო ყრილობამ გადაწყვიტა რელიგიური დღესასწაული „ბაირამობა“ ახალი დღესასწაულით „ნაზიმობით“ შეეცვალა. მაგრამ ეს მხოლოდ ითქვა, პარტიულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სოფლის ინტელიგენციამ კი არაფერი იღონეს მის შესასრულებლად. აქ დღესაც მოქმედებენ მოლები, ძალაშია ძველი ადათ-წესები, ხდება ნაადრევი ქორწინებანი, ყოველწლიურად გათხოვების გამო სკოლიდან გადის 10-15 გოგონა და სხვ.

რელიგიური დღესასწაულები კვლავ ტარდება ვარდისუბანში, აკურაში, რუისპირში და, მთლიანი შემწყალრებლობის იჩენენ ადგილობრივი საბჭოები, დეპუტატები, რომლებიც საარჩევნო ოლქების მიხედვით მშრომელთა განწყობილების, აზრის და მოქმედების გამომხატველი არიან. დეპუტატები უნდა გახდნენ ის ინიციატორები და ორგანიზატორები, ვინც უნდა გაუძღვეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლას, მათ ბევრი რამ უნდა გააკეთონ ადგილებზე.

არც პროფკავშირული ორგანიზაციები უნდა დარჩნენ ვალში ამ დიდი ღონისძიების წინაშე. კოლექტივის თითოეული წევრის მოქმედების შესახებ პასუხისმგებლობა თავიანთ თავზე მათ უნდა აიღონ, კოლექტივში უნდა შექმნან მოზეიმე თუ მწუხარე ადამიანების მიმართ თანაგრძნობის განწყობა, თუ შეუძლიათ, აღმოუჩინონ მატერიალური მხარდაჭერაც.

უფრო ეფექტიანი, კონკრეტული ღონისძიებები უნდა მოიფიქრონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. მთავარია, რომ ახალგაზრდობა იდეური ზემოქმედების გარეშე არ დარჩეს, რომ მასთან მუშაობა სკოლის დამთავრების შემდეგაც კვლავ სისტემატური და აქტიური იყოს.

ჩვენში კარგა ხანია დამკვიდრდა ასეთი გამოთქმა — დასახულ ამოცანებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა. სწორედ ეს არ უნდა მოვაკლოთ იმ დიდ საქმესაც, რომელსაც მავნე ტრადიციებსა და წესჩვეულებებთან ბრძოლა ჰქვია.

უპირველესი ამოცანა — ტრადიციათმცოდნეობის შექმნა

ვ. ქვაჩახია,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი.

ტრადიციები თაობაზე ორი წლის წინ მიღებული დადგენილება მეტად საპირო და დროული იყო. ამ ხნის განმავლობაში კიდევ უფრო ნათელი გახდა მისი მნიშვნელობა. დადგენილების მიღებამდე ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევა გვაჩვენებდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა უდიდესი უმრავლესობისათვის აშკარად მიუღებელი იყო ეროვნული ტრადიციების გაყალბებული გავრცელება. დადგენილებამ არსებითად ეს გამოხატა. ორი წელი გავიდა, და ისევ დგას საკითხი — რატომ არის გავრცელებული ის, რაც არ არის მისაღები და რაც დადგენილებითაც დაგმობილია? რამდენჯერმე მქონდა შესაძლებლობა გამოსვლებში თუ პრესის ფურცლებზე აღმენიშნა მდგომარეობის ეს სირთულე. აქ მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რასაც სერიოზული ანალიზი და მით უფრო მრავალმხრივი საქმიანობა სჭირდება. აქა-იქ კიდევ გაისმის — ტრადიციებს ებრძვიანო. ზოგიერთნი ამნაც დააბნია. გადაჭრით უნდა ითქვას — ვინც ტრადიციების თაობაზე მიღებულ დადგენილებას ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებად აცხადებს, იგი ან ჭკვიანი მტერია, ან მტრის ფარულ ზრახვას აყოლილი დაუფიქრებელი მოყვარე. ეს ასეა, რადგან ტრადიციის მოსპობის ერთ-ერთი უტიუარი გზაა მისი გაყალბება, გადაგვარება და, პირიქით, ტრადიციის ხანგრძლივობის ნამდვილი პირობაა მისი შინაარსის შენარჩუნება ცხოვრების წესის შესაბამისად. ტრადიციათა გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლა ტრადიციათა დაცვაა.

ტრადიციები ყოველდღიურად ისე ხშირად ვლინდება, რომ ძნელია იპოვო ადამიანი, ვინც მას არ იცნობს, ვისაც მასთან უშუალოდ არ ჰქონია საქმე. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ტრადიციებთან დაკავშირებული ყველაფერი იოლი, გასაგებია. ტრადიციები ეროვნული კულტურის ნაწილია. მათ სერიოზული შესწავლა სჭირდება როგორც კულტურის რთულ ფენომენს. ქართველოლოგიის დარგთა (საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურის ისტორია და ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ხელოვნების ისტორია და ხელოვნებათმცოდნეობა, ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორია, ფოლკლორისტიკა და ა. შ.) შორის არ მოგვეპოვება ტრადიციათმცოდნეობა. ეს ტერმინიც კი სრულიად ახალია, მაგრამ უკვე გაწეულმა მუშაობამ საფუძველი მოგვცა 1978 წლისათვის გამოსაცემად დაგეგეგმა წიგნი — „ტრადიციათმცოდნეობის საკითხები“. მეცნიერული კვლევა — ძიების ეს რთული, ინტერდისციპლინარული სფერო მოიცავს ტრადიციებს წარმოშობის, მისი სახეთა მრავალფეროვნების, ეროვნულ კულტურაში ტრადიციების ადგილის, ტრადიციების ფორმისა და შინაარსის, ტრადიციების ეროვნულ ფსიქიურ წყობასთან, ეროვნულ ხასიათთან მიმართების, ტრადიციებისა და ინოვაციების (ახლის ფორმირების) დამოუკიდებლობის და სხვა საკითხებს. ტრადიციათმცოდნეობის შიგნით საქმნელად მეცნიერულ დისციპლინათა თანამშრომლობაა აუცილებელი. სოციოლოგებთან თანამშრომლობისათვის ამიტომაც ვიწვევთ ფილოსოფოს, ისტორიკოს, ფსიქოლოგიის, ეთიკის, ესთეტიკის, სამართალმცოდნეობის წარმომადგენლებს.

ამდენ უნდა ვიქონიოთ, რომ გამოინახება შესაძლებლობა ტრადიციათმცოდნეობის მაღალი კვალიფიკაციით სწავლებისა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, რაც მოგვცემს საშუალებას მომავალში ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში გვაყვიდეს საქმის მეცნიერული ცოდნით შეიარაღებული ადამიანები, რომლებიც ადგილებზე უხელმძღვანელებენ ტრადიციებსა და ინოვაციების მიმართების რთულ საკითხების გადაწყვეტას. ეს მომავლის საქმეა. ამჟამად უპირველესი ამოცანაა ტრადიციათმცოდნეობის შექმნა. ეს მით უფრო რთულია, რომ, როგორც ეს პრესაშიც ითქვა, ბევრი ჩვენი ტრადიცია არათუ ყველა მიმართულებაში შესწავლილი, არამედ ჯერჯერობით აღწერილიც კი არ გვქონდა.

დავძლიოთ სოციალური ინერციის მორალურ-ფსიქოლოგიური ბარიერი

გ. ბანძელაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ეთიკის განყოფილების გამგე, პროფესორი.

ჩვენი დღევანდელი შეხვედრა უთუოდ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც დაგვისახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ ტრადიციების შესახებ. ამ დადგენილებას თავისი შინაარსით, მასშტაბურობით და განზოგადების ძალით ისტორიული მნიშვნელობა მიენიჭა. და მაინც, რომ ყოველი ჩვენთაგანის თავდაუზოგავი აქტიურობით და პრინციპული ბრძოლით მივაღწევთ იმას, რომ განვახორციელებთ პარტიის ჩანაფიქრს, ჩამოვაშორებთ ჩვენი ეროვნული ტრადიციების მდიდარ საგანძურს მავნე დანაშრევებს, კიდევ უფრო გავაღრმავებთ და გავაფართოებთ ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობას, დავამკვიდრებთ თანამედროვე კოლექტივისტური, კულტურული ყოფა-ცხოვრების მაღალსოციალურ ფორმებს, სოციალიზმისა და კომუნიზმისადმი ადეკვატურად შესატყვის ყოფითს კულტურას, ყოველივე ეს საშვილიშვილო საქმეა, ყოველი ჩვენგანის პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობაა, რის გამოც საქმის მთელი პასუხისმგებლობით. პარტიული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით უნდა მივიდგეთ.

ორ წელზე მეტი გავიდა დადგენილების მიღებიდან. ამ ხნის მანძილზე უდავოდ ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრგან ჯერჯერობით ლაპარაკი-ფიქრი მეტია, ფიქრი საქმე.

მრავალი მაგალითი იქნა მოყვანილი იმის საჩვენებლად, თუ როგორ მომწიფდა საზოგადოებრივი აზრი მავნე წესჩვეულებების წინააღმდეგ. მაგრამ ბევრგან ვერ ახერხებენ ჩვეულის და სოციალური ინერციის მორალურ-ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევას. ეი სწორედ ამ ბარიერის დაძლევისათვის უნდა იბრძოლონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

ძველი მანკიერი მემკვიდრეობის წინააღმდეგ ბრძოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ ყოფითი წეს-ჩვეულებების სფეროთი. ეს არის საერთო ბრძოლა ყველა იმ ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ, როგორიც არის უკანონობა და უდისციპლინობა, კერძომესაკუთრული ტენდენციები, მომხვეჭელობა და მომხმარებლური ფსიქოლოგია, ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი, გულგრილობა და ინდიფერენტიზმი.

ვერავითარი რანგისა და მასშტაბების კომპეტენტური რევოლუციური ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს ძირეულ გარდაქმნებს ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ ყოველი ჩვენგანი, დიდი თუ პატარა, ახალგაზრდა თუ მოხუცი, პასუხისმგებელი მუშაკი თუ რიგითი მშრომელი მთელი მონდომებით არ ჩაება. მანკიერებების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ თეზისის საუკეთესო მაგალითია მდგომარეობა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროებში. რატომ ვურიგდებით და ვეგუებით დანაშაულს და უკანონობას, რატომ თვითონ ჩვენ, მოქალაქეები, მომხმარებლები არა ვართ წესრიგისა და კანონიერების სადარაჯოზე, რატომ არ ვიცავთ ჩვენსავე უფლებებს და ინტერესებს, რატომ მოვითხოვთ ყველაფერს მზამზარეულად ხელმძღვანელებისაგან და თვითონ კი ხელის გამოღება არ გვინდა? თუ გვინდა საქმის ბერეული გამოსწორება, უპირველეს ყოვლისა, ყოველი ჩვენგანი უნდა გამოსწორდეს, მთლიანად დაძლიოს სოციალური პასიურობის ინერცია, გულგრილობა და ინდიფერენტულობა საზოგადო საქმისადმი, გახდეს აქტიური და მებრძოლი, პრინციპული და იდეური.

პარტიულმა ხელმძღვანელობამ უკვე საკმაო ხანია დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ხალხთა ფართო მასებმა უნდა დაამთავრონ ეს ბრძოლა ხელმძღვანელობასთან ერთად.

უამრავი პოზიტიური პრობლემაა გადასაწყვეტი და ისტორიული მიჯნებია მისაღწევი. რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოვიშოროთ ძველ თუ ახალ მანკიერებათა მძიმე ტვირთი, რომ მთელი ენერგიით შევუდგეთ სოციალური პროგრესის ციცაბო ალმართს.

გავაქტიუროთ საზოგადოებრივი აზრი

ა. ბეგიაშვილი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის გამგე, პროფესორი.

მარქსისტული დიალექტიკის თანახმად სამყაროს განვითარება უნდა წარმოვიდგინოთ როგორც დიალექტიკური უარყოფითა ჯაჭვი. დიალექტიკურ უარყოფას ორი მხარე აქვს: ერთი მხრივ ისაში უნდა გავარჩიოთ ძველის უარყოფის ტენდენცია, მეორე მხრივ ტენდენცია ყოველივე იმ სიცოცხლისუნარიანის შენარჩუნებისა, რომელიც ძველში მოიპოვებოდა. სამყაროს განვითარება არის აღმავალი ხაზით მოძრაობა, რადგან ყოველი სიცოცხლისუნარიანი ადგილზე არ აღმოცენდება. იგი მემკვიდრეობით იღებს ყოველივე სიცოცხლისუნარიანს, რაც გააჩნდა უარყოფილ წინამორბედ მოვლენებს. ძველიდან ღირებულის შენახვის ტენდენცია საზოგადოების განვითარებაში ვლინდება სხვადასხვა სახით, მათ შორის ტრადიციების სახითაც. არ არსებობს საერთო რეცეპტი იმისათვის, რომ გავარჩიოთ, რა არის ამა თუ იმ ცალკეულ მოვლენაში სიცოცხლისუნარიანი, და რა არის უარყოფის ღირსი. ამისთვის საჭიროა ცალკეული მოვლენების და საგნობრივი ვითარებების კონკრეტული კვლევა. ამგვარი დიალექტიკური მიდგომის ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავარჩიოთ, რა არის ღირებული ჩვენს ეროვნულ ტრადიციებში და როგორ უნდა დავიცვათ იგი დამახინჯებისაგან.

კარგი ტრადიციის აბსოლუტიზაცია, მისი უპირობოდ გავრცელება ყველა სიტუაციაში შეიძლება ვნების მომტანი გაღლიდეს ჩვენი საზოგადოების განვითარებისათვის. მაგალითად, ურთიერთდახმარების ტრადიცია — საყოველთაო დადამარების ტრადიცია — ჩვენ ერის ისტორიაც მთლიანად გამსჭვალულია ამ ტრადიციით, მაგრამ ზოგჯერ ამ კეთილშობილურებამ, კარგმა ტრადიციამ აბსოლუტიზაციის შედეგად შეიძლება შექმნას საფუძველი ისეთი მახინჯი მოვლენისათვის, როგორიც არის პროტექციონიზმი. საზოგადოებრივი აზრი მძლავრი ბერკეტია მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლაში და საჭირო მისი გაქტიურება.

არსენალი ძლიერი უნდა გვქონდეს

გ. ლუტიძე,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგე, პროფესორი.

ახალი ადამიანის აღზრდის კომპლექსურ ღონისძიებათა შორის მეტად მნიშვნელოვანია სისტემატური და უკომპრომისო ბრძოლა მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც უცხოა კომუნიზმის შენებელთა სულიერი სამყაროსათვის და დაბრკოლებას გვიქმნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზაზე. დრომოჭმული ტრადიციების გამძლეობას განაპირობებს ის გარემოება, რომ ისტორიულად მოკლე ვადებში შეუძლებელია მთლიანად აღმოიფხვრას საუკუნეობით განტკიცებული წესჩვეულებანი და ადათები. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „კაპიტალისტური წყობილების ჩვეულებანი მეტად ძლიერია. საუკუნეებს მანძილზე ამ ჩვეულებებით აღზრდილი ხალხის ხელახალი აღზრდა ძნელი საქმეა და დიდ დროს მოითხოვს“.

რაც შეეხება მავნე ტრადიციების გავრცელებას, ამის მიზეზი ძირითადად სუბიექტურია: ზოგიერთ ორგანიზაციაში პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტება, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ მოსთხოვნელობის დაქვეითება, უკონტროლობა, იდეურ-აღმზრდელობითი ღონისძიებების ეფექტიანობის შემცირება.

კონსერვატიული ტრადიციების დაძლევისათვის საჭიროა ვითვალისწინებდეთ მათი გამოვლენის თავისებურებებს: იმას, რომ წინა პლანზე წამოიწია რელიგიურმა წესჩვეულებებმა, რომ ქართველი ხალხის ბევრ ჯანსაღ ტრადიციას შეეწყო ჯერმა-მესაკუთრული, ნეშჩანური მისწრაფებები, რომ ზოგიერთი ტრადიცია ეროვნულობის დამღით წარმოსდგა, თუმცა ამგვარი შინაარსი მას არასოდეს არა ჰქონია და სხვ.

მავნე ტრადიციის და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის არსენალი მდიდარი უნდა ვქონდეს, პარტია მათი დაძლევის ყველაზე ძლავრ საშუალებად გვიმაბიერ, მიზანსწრაფულ. მრავალმხრივ იდეურ აღმზრდელობით, პროპაგანდისტულ მუშაობას მიიჩნევს, მაგრამ არ გამორიცხავს ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებასაც, როდესაც ამის საჭიროება არსებობს.

საერთო-სახალხო ხასიათი მიეცეთ დღემდე შემორჩენილი მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ უკომპრომისო შეტევას, გადაჭრით აღმოვფხვრათ წარსულის გადმონაშთები ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში — ისეთია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა თანამედროვე ეტაპზე.

□

კონფერენციის მონაწილეთა გამოხვლებში მოცემული იყო როგორც ტრადიციების გაჯანსაღებისათვის ბრძოლის რთული პრობლემის ზოგიერთი ასპექტის თეორიული ანალიზის ცდა, ისე ამ ბრძოლის პრაქტიკული განზოგადებისა და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებისაკენ მისწრაფება. ამის ნათელი დადასტურება იყო ის ფაქტიც, რომ კონფერენციის დამთავრების შემდგომ მისი მონაწილენი შეხვდნენ ქალაქისა და რაიონის მშრომელთა კოლექტივებს, წაიკითხეს ლექცია-მოხსენებები ტრადიციებისა და იმ ამოცანების შესახებ, რომელთა გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წარმატება ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვფიქრობთ, კონფერენციაზე გამოთქმული ძირითადი დებულებები დაეხმარება პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მთელ ჩვენს აქტივს იდეოლოგიური მუშაობის ამ რთულ უბანზე ახალი წარმატების მიღწევის საქმეში.

ბულგარელი სტუმარი თბილისში

5 იანვარს საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. ი. მოსაშვილი [illegible] ბულგარეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივანს [illegible] ეკუთვნოდა, რომელიც სტუმრად არის: თბილისში, [illegible] საბჭოთა კავშირში საკავშირო პროფსაბჭოს [illegible] ბულგარეთის [illegible] ჩვენს ქვეყნის პროფკავშირთა [illegible] ადგილებზე.

ამხ. თ. ი. მოსაშვილმა სტუმარს გააცნო რესპუბლიკის პრო

საკდესი
იტყობინება

მსოფლიოს ამბები

მემარცხენე ძალების თანამშრომლობა

ტოკიო, 4 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა შვეიცის მემარცხენე პარტია — კომუნისტების 25-ე მონოლობა. ყრილობას საზღვარგარეთელ სტუმრებს შორის არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის პ. ნ. ფედოსეევის მეთაურობით.

მემარცხენე პარტია — კომუნისტების თავმჯდომარემ ლ. ვერნერმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ 60 წლის წინათ ოქტომბრის რევოლუციამ პირველმა შეაღწია ჯერ-ჯერობით მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში და დასაბამი მისცა კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასვლის ისტორიულ პროცესს.

გაიხსნა შვეიცის მემარცხენე პარტია — კომუნისტების ყრილობა

□

შეეხო რა სოციალიზმის წარმატებებს, მომხსენებელმა თქვა, რომ წელს სოციალიზმის ეკონომიკური სისტემა პირველად მიაღწევს მსოფლიო სამრეწველო წარმოების ნახევარს. სოციალისტური სახელმწიფოები წლიდან წლამდე ავითარებენ თავიანთ ეკონომიკურ პოტენციალს.

ქვეყანაში არსებული ედგომარეობის დახასიათებისას ლ. ვერნერმა აღნიშნა ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება, ინფლაციის მაღალი დონე, უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდა, კრიზისული მდგომარეობა შვეიცის მრეწველობის მთელ რიგ დარგებში. შვეიცარია, ხაზი გაუსვა მან, შეუძლია თავი დააღწიოს კრიზისს მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ განთავისუფლდება კაპიტალიზმისაგან. კრიზისს დაძლევის ჩვენი ანტიკაპიტალისტური პროგრამის პროექტში დასახული გვაქვს კაპიტალური ქაოსიდან თავის დაღწევისა და შეგნებულ სოციალისტურ დაგეგმვაზე გადასვლის გზა.

იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებსაც ჩვენ ვისახავთ, თქვა დასასრულ ლ. ვერნერმა, შეგვიძლია მხოლოდ ორგანიზებული მუშათა კლასის სხვა რაზმებთან და ქვეყნის სხვა მემარცხენე ძალებთან თანამშრომლობით.

„რეფერენდუმის“ ფარსი

ბუენოს-აირესი, 4 იანვარი. (საკდესი). დღეს ჩილეში გაიმართა ეგრეთ წოდებული „რეფერენდუმი“, რომელმაც სამხედრო ფაშისტური ხუნტის განზრახვით, უნდა ცხადყოს „ხალხის მხარდაჭერა“ მმართველი რეჟიმისადმი“. „რეფერენდუმი“ მიმდინარეობდა უსასტიკესი რეპრესიების, იმათი გამოვლინებისა და „გაუვნებლების“ ვითარებაში, ვინც მხედრიონის წინააღმდეგ გამოდის. „რეფერენდუმის“ მთელ მექანიზმს — კომისიებს შემადგენლობით დაწყებული, ხმის დათვლის ხისტემით დამთავრებული საგულდაგულოდ უწევს კონტროლს ხუნტა.

თვით „რეფერენდუმის“ პროცესი ხაპოლიციო უბნებში დაპატიმრებულთა რეგისტრაციას უფრო ჰგავდა. თითოეული ადამიანი მოვალე იყო ხელმოწერის ნაცვლად ხმის მისაცემ ბიულეტენზე თავისი თითის ანაბეჭდი დაეტოვებინა. პინოჩეტის ახალმა პოლიტიკურმა ფარსმა ფართო პროტესტები გამოიწვია ქვეყანაში. ხუნტის დაჭირავებულ პროპაგანდისტთა ცდების მიუხედავად, რომლებიც მოუწოდებდნენ ჩილელებს ხმა მიეცათ ხუნტისათვის, რეპრესიებით დამუქრების მიუხედავად, სანტიაგოსა და სხვა ქალაქებში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები. სახლების კედლებზე იყო წარწერები: „გაუმარჯოს ჩილეს, ძირს ხუნტა“, „რეფერენდუმის“ წინადღით დედაქალაქის აუდადოს ქუჩა შეიარაღებული კარაბინერებისა და დემონსტრანტების გაფთრებული შეტაკების ასპარეზი გახდა. არიან დაჭრილნი, ბევრი დაიპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის არიან ყოფილი სენატორი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისაგან ანდრეს სალდივარი და სტუდენტთა ხელმძღვანელი გალარმო იუნგე.

„რეფერენდუმის“ ფარსი გადაჭრით დაგმო ჩილეს ყველა დემოკრატიულმა პარტიამ.

უკანონო მოქმედება

ნიუ-იორკი, 5 იანვარი. (საკდესი). ისრაელის მთავრობა კვლავ ხელს უწყობს უკანონოდ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების ათვისებას. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ისრაელის მინისტრთა კაბინეტის უკანასკნელ სხდომაზე მსჯელობის ერთ-ერთი საკითხი იყო ისრაელის მიერ ოკუპირებული მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე, ნაბლუსის მახლობლად ებრაელთა კიდევ ერთი გასამხედროებული დასახლების შექმნის პროექტი. ამ რაიონის მკვიდრ არაბ მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი პროტესტების მიუხედავად, ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაციის „გუშ ემუნიმის“ წარმომადგენელ სიონისტ ვაბატონთა გეგმა მოიწონა ბეგინის მთავრობამ.

ისრაელის მემარჯვენე რელიგიური წრეების წარმომადგენლებმა მთავრობისაგან მოითხოვეს მოამზადოს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე, კერძოდ სირიისაგან მიტაცებულ გოლანის მაღლობზე ისრაელის ახალი დასახლებების შექმნის ფართო ვეგმა.

ასე დემონსტრაციულად დასტურებს ისრაელი, რომ იგი პირებს შეინარჩუნოს თავისი სამხედრო უწყება მიტაცებულ არაბულ ტერიტორიებზე.

მოკლედ

ყოველი მსრიდან

□

მასობრივი გაქცევა

● **მაპუტუ.** 22 ათასზე მეტმა კაცმა სამუდამოდ დატოვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა გასულ წელს. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე 1976 წელს. აპარტეიდის ქვეყნიდან შეძლებულ თეთრკანიან მცხოვრებთა მასობრივი გაქცევის მთავარი მიზეზია თავისი მომავლის გამო შიში.

წერილი პრეზიდენტს

● **ვაშინგტონი.** ამერიკის ნავთობის კომპანიები ცდილობენ მთლიანად ჩაიგდონ ხელში ქვანახშირის ამოღებაც შეერთებულ შტატებში. ეს განაცხადა სენატორმა ჯ. აბურეზკმა, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს გაუგზავნა წერილი, სადაც მოითხოვს შეზღუდონ „ნავთობის გიგანტების“ მტაცებლური საქმიანობა.

დოლარის კურსი ეცემა

● **ტოკიო.** ამერიკული დოლარის კურსის მორიგი დაცემა იაპონური იენის მიმართ რეგისტრირებულია ტოკიოს ვალუტის ბაზარზე. საახალწლო არდადეგების შემდეგ, როცა ოპერაციები განახლდა, აქ ერთ დოლარში იძლეოდნენ 237 იენს. ეს ამერიკის ვალუტის ყველაზე დაბალი კურსია უკანასკნელი 30 წლის მანძილზე.

ახლო აღმოსავლეთი

ანტიარაბული შეთქმულება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი, რომელიც საზღვარგარეთ მოგზაურობს, ეწვია საუდის არაბეთს, ხოლო შემდეგ ისუანში შეხვდა ა. სადათს. მას ამ სახელმწიფოების მეთაურებთან ჰქონდა მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთის პრობლემის შესახებ. ამ ვიზიტებს უკავშირებენ შეერთებული შტატების ცდებს გამოიყენონ ჩიხიდან ისრაელთან სეპარატული გარიგებანი, რომლებსაც პრეზიდენტი სადათი აწარმოებს, ჩაბას ტელ-ავივისადმი ცალმხრივ დათმობათა პოლიტიკაში ეგრეთ წოდებული ზოგიერთი არაბული რეჟიმები.

თავის საახლოაღმოსავლეთო დიპლომატიაში ვაშინგტონი ყოველნაირად უშერს ხელს ტელ-ავივს, რომელიც ახორციელებს აგრესიულ კურსს, უგულებელყოფს არაბული სახელმწიფოების სამართლიან მოთხოვნებს და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებებს. ჯ. კარტერმა ამ ცოტა ხნის წინათ კვლავ გამოთქვა სოლიდარობა ისრაელის პოზიციისადმი, როცა განაცხადა, რომ იგი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგია.

ამასთან დაკავშირებით საზღვარგარეთის პრესა ყურადღებას უთმობს ოფიციალური კაიროს პოზიციას. თავდაპირველად სადათმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს იგი შეცბუნებულია ამგვარი განცხადებით, მაგრამ, ჯ. კარტერთან მისი შეხვედრის წინა დღით, ეგვიპტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეგვიპტე „არ მოითხოვს პალესტინის სახელმწიფოს დაუყოვნებლივ შექმნას და ყველა შემთხვევაში ამჯობინებს, რომ პალესტინის ტერიტორია დაკავშირებული იყოს იორდანიასთან“.

ჯ. კარტერი გეგმით გაუთვალისწინებელ ვიზიტად ეწვია საუდის და მოლაპარაკება გაართა სადათთან. მოლაპარაკების დასრულების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც გაიმეორა ამერიკის ცნობილი პოზიცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანის მიმართ და ილაპარაკა პალესტინის პრობლემის გადაჭრაზე „ყველა მისი ასპექტით“. ამასთან ჯ. კარტერს სიტყვაც არ დაუძრავს პალესტინის არაბთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის შესახებ და არსებითად უგულებელყო ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ყოვლისმომცველი მოწესრიგების საკვანძო ელემენტი.

სადათმა თავის მხრივ თქვა, რომ მისი შეხედულებანი „პალესტინის საკითხზეც კი ემთხვევა“ ამერიკის პრეზიდენტის შეხედულებებს.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ამერიკის პრეზიდენტმა ვერ იპოვა არაბულ სამყაროში სადათის სეპარატული კურსის მომხრეები. არაბთა „დაყოლიება“ დაიწყო ჯერ კიდევ თეირანში, სადაც ჯ. კარტერი შეხვდა მისი თხოვნით იქ ჩამოსულ იორდანიის მეფე ჰუსეინს. ამერიკის ადმინისტრაციის ცდებს დაეყოლიებინა იორდანია მოხაწილეობა მიეღო ეგვიპტე-ისრაელის გარიგებაში, წარმატება არ მოჰყოლია. მეფემ ფარი განაცხადა იორდანიის პოზიციის შეცვლაზე. (საკდესი).

ჯ. კ რტერის ვიზიტი საფრანგეთში

პარიზი, 4 იანვარი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი სამი დღის ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა საფრანგეთში.

მას ექნება მთელი რიგი შეხვედრები საფრანგეთის პრეზიდენტთან ვ. ჟისკარ დესტენთან, რომლის დროსაც, როგორც აქ გამოაცხადეს, განიხილავენ ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებს, კერძოდ — აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობას, ევროპის უშიშროებას, მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში, დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ და სავალუტო-ფინანსურ სიძნელეებს.

მაღალი შეფასება

ნიუ-იორკი, 4 იანვარი. (საკდესი). კოსმოსის შესწავლასა და ათვისებაში საბჭოთა კავშირის მიღწევების მაღალი შეფასება მოცემულია აქ გამოქვეყნებულ მოხსენებაში „პროგრესი კოსმოსური სივრცის კვლევის დარგში 1976-1977 წლების მანძილზე“. იგი მოამზადა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის გამოყენების კომიტეტმა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მსოფლიოში პირველი დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვების დღიდან 20 წლის განმავლობაში კოსმონავტიკამ უზარმაზარი გზა განვლო, უკან მოიტოვა უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტები კოსმოსის დაპყრობის საქმეში.

მოხსენებაში მოცემულია, ერძოდ, მაღალი შეფასება საბჭოთა და ამერიკის კოსმოსური ხომალდების „სოიუზის“ და „აპოლონის“ ისტორიაში პირველი ერთობლივი ფრენისა, რითაც დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ კოსმოსის ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ადამიანის ცოდნის გაფართოებისა და კოსმოსური კვლევის ერთ-ერთი მთავარი ამოცანის მზის სისტემის შექმნის გამოცანათა ამოხსნაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხაზგასმულია მოხსენებაში, „ლუნა 24“ საბჭოთა ავტომატური სადგურის გაშვებას მთვარეზე.

ავგაკური მკვლელობა

ლონდონი, 5 იანვარი. (საკდესი). აქ მოხდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ლონდონელი წარმომადგენლის ხ. ჰამმის ავგაკური მკვლელობა. პოლიცია ეძებს ბოროტმოქმედებს.

გაზეთი „მორნინგ სტარი“ აღნიშნავს, რომ ს. ჰამმი „იყო პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე და წერს, ამის წინათ მან მისცა ინტერვიუ, რომელშიც „გულისწყრომა და აღშფოთება გამოთქვა ბეგინთან მოლაპარაკებისათვის იერუსალიმში სადათის გამგზავრების გამო“.

შეხვედრები მსოფლიოს მეტიჩლანებზე

50 წუთი იანოს რიციოსთან



ლენინგრადი, 4 იანვარი. ჩვენმა მასპინძელმა ამ დროისათვის დაგვიბარა შეხვედრა. მეხოთე სართულზე ლიფტიდან ხელმარჯვნივ ვრეკავთ ზარს, კარი თავად პოეტმა გაგვიღო. პირველი, რაც მის ბინაში თვალში გეცემათ, ეს არის ის ნაკეთობანი, რომლებიც თვით იანოს რიციოსის ნახელავია. ტყეობაში ყოფნისას პოეტი ხშირად ამუშავებდა ხეს, ქვას, სოლს უდგამდა მათ, ამორჩილებდა, სასურველ ფორმას აღებინებდა და დღეს მის ოჯახში შესულმა კაცმა კიდეც რომ არ იცოდეს, ხელოვნის ოჯახში ვართ, ეს ნაკეთობანი დაარწმუნებს, რომ აქ ხელოვნება სუფევს ყველაფერში, რომ აქ ხელოვნებით სუნთქავენ, ცოცხლობენ. ხელოვნების ეს ნამდვილი ნიმუშები ტყეობის წლებშია შექმნილი, ალბათ, ამიტომაც ადგას მათ რაღაც სიმკაცრის, მიუვალობის იერი. ფორმა, რომელსაც იანოს რიციოსი ელტვიდა, პოეტურია, ამაღლებული, ბაკრამ იერის „ენინგზე“ ტყეობა, გადასახლება, იმ წლების ცხოვრების აზრი მაინც აღიქმება სავანთა მკაცრ იერში. მეორე დღეს ჟურნალ „თეატროს“ გამომცემელმა ვოსტას ნიკოლამ სიამოვნებით მიჩვენა ჟურნალის ის ნომერი, რომელშიც ვერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლი ბერძენი პარტიზანების თეატრალური მიმართულება უდგია. მილიონობით მშრომელის ნება, რომლებმაც შეიგნეს თავიანთი მიზნები და თავიანთი აღგილი ცხოვრებაში,—ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ისეთი საზოგადოებრივი წყობილების საბოლოო გამარჯვების საამედო საწინდარია, რომელიც თავისუფალი იქნება ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან“.

ასეთი უკუსვლა მოხდა ეგვიპტეშიც. ამჟამად, წერს მონოგრაფიის ავტორი, ეგვიპტეში მიმდინარეობს ისეთი პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მანამდე უფლებაყრილი კაპიტალიზმის გამოცოცხლებას. გაანალიზებულია პრეზიდენტ ანვარ სადათის „ღია კარის“ პოლიტიკის არსი, ამ პოლიტიკის საშიშროება ეგვიპტისათვის და დასკვნის, რომ არაკაპიტალისტური განვითარების გზა ისტორიულად გარდაუვალია და ამ გზიდან გადახვევა მარტო ეგვიპტის ახლანდელი მმართველების ნებასურვილზე არ არის დამოკიდებული.

სოციალისტური ქვეყნების საქართველოშიც გამოვიდა ჩემი წიგნი. მე უკვე მაქვს ჩემი ლექსების თარგმანები რუსულ, მოლდავურ, ლატვიურ და საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებზე, ახლა მთ ქართული თარგმანებიც შეემატება. საბჭოეთში რამდენჯერმე ვყოფილვარ, საქართველოში ერთხელაც ვერ ჩამოვედი.

— ქართულ პოეზიას თუ იცნობთ?

— სამწუხაროდ, არა, არაფერი ვიცი მასზე, ეს კია, რომ მსმენია რუსთაველის სახელი, მას, იშველიებენ ხოლმე ადამიანური პოეტები, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა დღემდე ვერ მოვახერხე, ვერასდროს წავაწყდი, როგორც ჩანს, საზღვარგარეთ სათანადო პოპულარიზაციას ვერ უზეკენ ამ დიდ პოეტს.

მე აღვუთქვი, რომ იგი მალე მიიღებს „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანს.

— ახლა რაზე მუშაობს იანოს რიციოსი?

— ყველაფერზე, რაც მთავარია, შრომობს! უშრომლად არ შემიძლია, ყოველ დღე ვმუშაობ, ეწერ ჩემთვის. ამოუწურავი ოჯახია რუსული პოეზია. გამიჭირდება დავასახელო ისეთი ქვეყანა, რომელსაც ამდენი ასეთი დიდი ლირიკოსი ჰყავდეს. ალბათ ხანს ვმუშაობდი ბლოკის ლექსების თარგმანზე. ბედნიერი ვარ, რომ ბერძენ ხალხს ასეთი დიდი პოეტი გავაცანი, დავწერე პატარა წიგნი ბლოკის შემოქმედებაზე. — იგი სათუოდ იღებს ხელში და მიჩვენებს პატარა წიგნს. — ბლოკის შემდეგ მაიაკოვსკის ლექსები ვთარგმნე. აგერ რამდენი ხანია მასზე წიგნის დაწერა მინდა... ვერ შევძელი, ამგვარი პოეტები იშვიათად იბადებიან.

— სალონიკში ერთ-ერთ შეხვედრაზე წაკითხეს თქვენ მიერ თარგმნილი ნაზომ ჰიქმეთის ლექსი „პასუხი“, მხოლოდ ეს ერთი ლექსი თარგმნეთ, თუ?

— არა. ვიდრე მაიაკოვსკის თარგმნას დავიწყებდი, ჰიქმეთი თარგმნე, ეს ჩემთვის ერთგვარი ხიდი იყო მაიაკოვსკისთან მისასვლელად. — მასპინძელი შეიყვნდა, ღრმად ამოსუნთქა და დასძინა —ი, წიგნი კი ვერფფრით ვერ დავწერე მაიაკოვსკიზე. ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი.

იანოს რიციოსი წამოდგა. იქვე ოთახის კუთხეში მივიდა, დიდი ფირფიტა აიღო და რადიოლაზე დადო, ოთახში დაიღვარა რუსული ხალხური მელოდია. მასპინძელი მეზობელ ოთახში გადის და სტუმრებისათვის მეცრეოფონი სასმელი და საზამთროს მორაბა შემოაქვს. ამ მორაბას ჩემი მეუღლე ამზადებსო, დასძენს. შემდეგ კი ამბობს:

— აი ამ მუსიკას ხომ უსმენთ, თქვენთვის ნაცნობი მელოდიებია. რუსული სიმღერების ტექსტი მე ვთარგმნე ბერძნულად. „საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის საზოგადოების“ მდივანი კატინა ზორბალა დამეხმარა, აწყარიდი მომაწოდა. მომღერალიც ჩნიბოლია, თვითონ მღერის თავის ქალიშვილთან ერთად. იცით, რატომ დამჭირდა რუსული ხალხური სიმღერების თარგმნა? ესენინზე ვმუშაობ ეს ერთი ხანია, მინდა ესენინი ვთარგმნო. დაუფასებელი სამსახური გამიწია კატინამ.

მართლაც, მშვენიერად მღერიან დიდა-შვილი ზორბალები რუსულ ხალხურ სიმღერებს, ვრამფირფიტის გარეკანზეც სამი ადამიანის ფოტოა — იანოს რიციოსის (ამ სიმღერების ბერძნულ ენაზე მთარგმნელის) და დიდა-შვილი ზორბალებისა...

დრო გავიდა, სადაც არის თორმეტი შესრულდება, მასპინძელს ვემშვიდობებით. იგი ლიფტის კარებამდე გვაცილებს და მოკითხვას გვიბარებს ყორელ საბჭოთა მეგობართან.

გ. ბათიაშვილი.

ათენი — თბილისი.

სურათზე: ბერძენი პოეტი იანოს რიციოსი.

ამერიკელთა პროტესტი

იაპონიის მთავრობამ თავდაცვის ძალების განკარგულებაში ოფიციალურად გადასცა ტატიკავას ყოფილი ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზა, რომელიც ტოკიოდან რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობს. ეს გადაწყვეტილება მიიღეს მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობისა და ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრიობის მკაცრი პროტესტისა, რომლებიც მოითხოვენ ბაზის ტერიტორია დაუბრუნონ მის ადრინდელ მფლობელებს.

სურათზე: იაპონიის საზოგადოებრიობის საპროტესტო დემონსტრაცია.

ჯაპან პრეს-სპუტნიკის ფოტო.

საერთაშორისო შენიშვნები

ვენა: მეცამეტე რაუნდი — ქვლავ უშედეგოდ

გამალებული შეიარაღების ალაგმვა და განიარაღება დროის მოთხოვნაა — ეს სიტყვები ბევრჯერ წაგვიკითხავს და გვსმენია. მათს ბეშმარიტებაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ გადავხედავთ ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემს, სამხედრო ეკსპერტთა და მეცნიერთა დასკვნებს, რომლებიც დროდადრო პრესაში ქვეყნდება ხოლმე და ცხადყოფს იმ აურაცხელ ზარალსა და პოტენციურ საშიშროებას, გამალებული შეიარაღება რომ უქადის კაცობრიობას.

აი ზოგიერთი მათგანი:

ამჟამად მსოფლიოში სამხედრო საჭირიბისათვის ყოველწლიურად ასტრონომიული თანხა — 300 მილიარდი დოლარი იხარჯება;

ერთი თანამედროვე ატომური ბომბი შეიცავს ისეთ დამანგრეველ ენერგიას, რომელიც მეორე მსოფლიო ომში გამოყენებული მთელი ფეთქებადი ნივთიერებების ენერგიას აღემატება.

სადღეისოდ დედამიწაზე არსებული ატომური ბომბების რაოდენობა და სიმძლავრე საკმარისია იმისათვის, რომ ათასობით ქალაქმა პიროსიმის ტრაგიკული ხვედრი გაიზიაროს;

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიარაღებაზე გაწეულმა ხარჯებმა 1975 წელს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მიერ წარმოებული მთელიანი პროდუქტის ღირებულებას მიაღწია;

ჩვენი პლანეტის სწავლულთა და მეცნიერ მუშაკთა თითქმის ერთი მეოთხედი მთელ თავის ცოდნასა და უნარს სულ უფრო ძვირადღირებული მომაკვდინებელი იარაღის გამოგონებას თუ სრულყოფას ახმარს;

ამერიკელი მეცნიერის, ნობელის პრემიის ლაურეატის ლ. პოლინგის აზრით, 20 მეგატონის სიმძლავრის ერთი ატომური ბომბის გამოცდა წყნარი ოკეანის აუზში იმის საშიშროებას შეიცავს, რომ ოკეანის სანაპირო ქვეყნებში ნახევარ მილიონზე მეტი მკვდარი ან მახინჯი ბავშვი დაიბადოს;

მიწისქვეშა ატომური აფეთქებები, რაგინდ ეპიზოდურადაც უნდა ხდებოდეს, სერიოზულად არღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას დედამიწის მთელ რიგ რეგიონებში და ა. შ.

როგორც ვხედავთ, კაცობრიობას მხრებზე მეტად მძიმე და საშიში ტვირთი აწევს. მისი შემსუბუქება და საბოლოო ანგარიშით მთლიანად მოსპობა თანამედროვეობის ერთ-ერთი საარსებო საკითხი, ანუ, როგორ ამბობენ, დროის მოთხოვნაა, და პასუხისმგებლობა კაცობრიობის მომავალი ბედისათვის უკლებლივ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობას ეკისრება.

ცხადია, აღნიშნული პრობლემის ერადგრის გზა წინააღმდეგობებით სრის აღსავსე და, როგორც აბსანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, „საყოველთაო და სრულ განიარაღებამდე ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია, მაგრამ უნდა უწრუნველყოთ განუწყვეტელი ნინსვლა ამ მიზნისაკენ, რათა არ ვყოფნდებოდეთ, რათა ყოველმა წელმა და ყოველმა თვემ ახალი პრაქტიკული ნაბიჯი გადაგვადგმევინოს გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და სახელმწიფოთა არსებულების შენიცვლის ამა თუ იმ დარგში“.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების რთულ გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირება, რომლის შესახებაც მოლაპარაკება მიმდინარეობს ავსტრიის დედაქალაქ ვენის ჰოფბურგის სახასლეში.

შეგახსენებთ, რომ მოლაპარაკების უშუალო მონაწილეები არიან სსრ კავშირი, გდრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, აშშ, გფრ, ინგლისი, კანადა, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი, რომლებსაც გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ. სხვა დანარჩენ ქვეყნებს — ბულგარეთს, უნგრეთს, რუმინეთს, იტალიას, თურქეთს, საბერძნეთს, ნორვეგიას და დანიას — ცენტრალურ ევროპაში ჯარები არა ყავთ, და, ამდენად, ისინი მონაწილეობენ მხოლოდ საკითხების ვახხილვაში და არა გადაწყვეტილების მიღებაში.

მოლაპარაკება უკვე მეხუთე წელია მიმდინარეობს (მისი უკანასკნელი მე-13 რაუნდი ამ დღეებში დამთავრდა) და მოსალოდნელი იყო, რომ განვლილი დრო საკმარისი იქნებოდა რაიმე კონკრეტული შეთანხმების მიაღწევად, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. მთელი ეს დრო მხოლოდ პოზიციების ყოველმხრივ შესწავლას მობმარდა და მოლაპარაკება დღემდე ჩიხშია მოქცეული.

იბადება ბუნებრივი კითხვა, — ვინ უშლის ხელს მოლაპარაკების კონკრეტულ რეალისტურ გზაზე დაადგეს?

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1973 წელს მოლაპარაკების დაწყებისთანავე მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ, რომ დისკუსიის საგანი იქნებოდა ევროპის გარკვეული რაიონში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ისეთი შემცირება, რომელიც ზიანს არ მიაყენებდა არც ერთი მხარის უშიშროებას; შეთანხმდნენ იმაზეც, რომ მომავალი შემცირება უნდა განამტკიცებდეს მშვიდობასა და უშიშროებას მთელ ევროპაში.

ამიტომ 1973 წლის 8 ნოემბერს სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა წამოაყენეს კონკრეტული პროგრამა. იგი ითვალისწინებდა გარკვეულ ვადებში იმ ქვეყნების მიერ, ვისაც ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალები ჰყავს, ჯარებისა და შეიარაღების (მათ შორის ატომური იარაღის) თანაბრად, 17-მდე პროცენტით შემცირებას, რაც არ შეცვლიდა ძალთა თანაფარდობას მსოფლიოს ამ რეგიონში.

ამავე დროს გასული წლის დამლეგს, გაითვალისწინეს რა დასავლეთის სახელმწიფოების სურვილები, სოციალისტურმა ქვეყნებმა კიდევ ერთი ინიციატივა გამოთქვეს და დათანხმდნენ, რომ ჯარებისა და შეიარაღების შემცირება განხორციელდეს ორ ეტაპად — ჯერ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო მეორე ეტაპზე — მოლაპარაკების დანარჩენი უშუალო მონაწილეების ქვეყნებში, მანამდე კი ეს უკანასკნელნი იკისრებდნენ ვალდებულებას, რომ არ გაზრდიდნენ ჯარების არსებულ ოდენობას.

რით უპასუხეს ნატოს სახელმწიფოების დელეგაციებმა ამ ინიციატივას? მათ სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს. ისინი აცხადებენ, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს ევროპის ცენტრში სახმელეთო ჯარების საგრძნობლად მეტი რაოდენობა (მათი აზრით, დაახლოებით 150 ათასი) ჰყავთ და ამიტომ ნატოს ქვეყნების ჯარების შესაძლო შემცირებასთან შედარებით, ჯარების რიცხვი ერთისამად და მეტად უნდა შეამცირონ.

ამ განცხადების უსაფუძვლობა ამჟამრაა, ვინაიდან მოლაპარაკების მსვლელობაში მონაწილეთა შორის ციფრობრივი მონაცემების გაცვლამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ორივე მხარის შეიარაღებული ძალების, მათ შორის სახმელეთო ჯარების რიცხვი თითქმის თანაბარია. ეს არაერთხელ აღუნიშნავთ აგრეთვე თავიანთ საჯარო განცხადებებში დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეებს, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ჰ. შმიდტს, ინგლისის პრემიერ-მინისტრს ჯ. კალაგენსა და სხვებს.

გარდა ამისა დასავლეთი მონაწილეები, ეყრდნობიან რა შემცირების რაიონთან სსრ კავშირის სიახლოვეს, ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით, დაჟინებით მოითხოვენ, რომ საბჭოთა კავშირმა მოახდინოს უფრო არსებითი შემცირება და მარტო რაოდენობრივი, არამედ, თვისებრივი თვალსაზრისითაც. მაგრამ ეს საგულისხმო არგუმენტი არ არის, თუ გავითვალისწინებთ ნატოს სამხედრო ბაზების ფართო ქსელს, ობობასავით რომ არის მოდებული მთელ კონტინენტზე.

სერიოზული დაბრკოლებაა აგრეთვე ის, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და კანადას არ სურთ იკისრონ კონკრეტული ვალდებულება მეორე ეტაპზე ჯარების შემცირების შესახებ და დღემდე იმას ვაიძახიან, რომ მზად არიან განიხილონ მხოლოდ ასეთი ვალდებულების აღების „შესაძლებლობა“ და ისიც იმ პირობით, თუ სოციალისტური სახელმწიფოები მთლიანად დაეთანხმებიან შემცირების დასავლური სქემას.

ნატოს სახელმწიფოები ასევე უარს ამბობენ შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო ძალების შემცირებაზე. ატომური იარაღის თობაზე კი აცხადებენ, რომ შეამცირებენ იმ იარაღის მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებია აღჭურვილი და მოითხოვენ, რომ იგი იმის თანაბარი იყოს, რაც დასავლეთის სქემის მიხედვით ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებმა უნდა შეამცირონ. მაგრამ განა ფაქტი არ არის, რომ ატომური იარაღის მიტანის საშუალებებს ნატოს წევრი ყველა დასავლეთევროპული ქვეყანა ფლობს? საკითხისადმი ასეთი მიდგომა ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის გამალებული შეიარაღების ვაზრდობას, და, რაც მთავარია, იგი სრულიად ულოგიკოა. განა შეიძლება სამხედრო დაძაბულობის შენელებაზე ლაპარაკი და ამავე დროს ცენტრალურ ევროპაში დგროვილი იარაღის (განსაკუთრებით ატომურის) არსენალთა უგულებელყოფა? რა თქმა უნდა, არა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, „კვლავინდებურად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკებაზე წარმატების მიღწევა. ჩვენ იქ ვთავაზობთ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც მოჰყვებოდა ევროპაში დაპირისპირებული სამხედრო ძალების შემცირება, ამასთან არც ერთი მხარე არ იზარალებდა. მზად ვართ განვიხილოთ შემზადები წინადადებანიც, რომლებსაც იგივე პრინციპები უდგას საფუძვლად. მზად ვართ შემდგომი ერთობლივი კონსტრუქციული (სწორედ „კონსტრუქციული, პატიოსანი და არა ცალმხრივი სარგებლობისათვის ვამიზნული) ძიებისათვის, მზად ვართ მოლაპარაკება ვაწარმოოთ

ჩვენ და საგზაო მოძრაობა

ქომაგის ცუდი როლი

ერთი საგანგაშო სიგნალის ქვალდაქვალ

ნამდვილად საგანგაშო და მეტად დამაფიქრებელმა სიგნალმა ქალაქ სტავროპოლში ჩაგვიყვანა. ცნობა, რომელიც იქიდან მოგვივიდა, სამწუხარო ფაქტებს შეიცავდა. კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებმა რამდენიმე ახალგაზრდამ, რომლებიც სტავროპოლის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდნენ, უღირსი საქციელი ჩაიდინეს და ამის გამო გარიცხული არიან ინსტიტუტიდან. მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, მათ შორის საკმაოდ ცნობილნიც, რომლებიც ქომაგად დაუდგნენ გარიცხულებს და ყოველსაირად ცდილობდნენ მათს წაადრევ აღდგენას, უდისციპლინოების წესიერებად გახალებას.

ასეთი არასასიამოვნო ცნობით გულდამძიმებულნი გავემგზავრეთ სტავროპოლში. გულახდილად, რომ ვთქვათ, სინდისი გვქეჯნიდა, გვინდოდა ამ ადამიანებთან შეხვედრა, რომლებიც ჩვენს თანამემამულეებზე არასასიამოვნო ამბავს უფრო დაწვრილებით გვეტყოდნენ.

ჩასულები თავაზიანად, სტუმართმოყვარულად მიგვიღეს სამედიცინო ინსტიტუტში, პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ ორგანოებში. უთუოდ მასპინძლებსაც ეტყობოდათ წუხილი იმის გამო, რაც იქ მოხდა და რაც გულახდილად გვიამბეს. და ჩვენც, ცხადია, გულნატკენები დავრჩით ყოველივე იმით, რაც მოვისმინეთ, ადგილობრივი პარტიული, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მონაკვლევი მასალებით გავიგეთ, საკუთარი თვალით ნანახით დავრწმუნდით.

ეს ტრაგიკული შემთხვევა ამ ერთი წლის წინ მოხდა. სტავროპოლის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩვენი რესპუბლიკიდან რამდენიმე ახალგაზრდა სწავლობდა. ერთ დღეს თანაკურსელები სტუდენტ რ. ბოჭორიშვილის დაბადების დღის აღსანიშნავად რესტორანში შეიკრიბნენ. აქ იყვნენ სტუდენტები მ. ბაქრაძე, ო. საბეკია, ზ. დანელია, ზ. დიდიშვილი, მ. და ლ. ნადარაიები, ი. მეტრეველი, ვ. ვოლკოვა, რომელსაც ახლდა მეუღლე ა. დოლიძე (ამ უკანასკნელს ინსტიტუტთან საერთო არაფერი ჰქონდა).

ღვინის სმას შეუდგნენ. ბოლოს ღვინომ თავისი გაიტანა და სუფრა ახმაურდა. შემდეგ თანამესუფრენი წამოშალნენ, ფოიერში რაღაც კინკლაობა შეიქნა, რომელიც ჩხუბში გადაიზარდა, ვიღაცამ ვიღაცას გაარტყა... ერთი სიტყვით, ისეთი ალიაქოთი, აყალმაყალი, ჩხუბი ატყდა, რომ მთელი რესტორანი ფეხზე დადგა და ბოლოს... მსხვერპლიც — დანის დარტყმით ა. დოლიძემ სახიკვდილოდ დაჭრა ჩხუბის მონაწილე, სტავროპოლის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტსმენი ა. სოტნიკოვი.

სტავროპოლის შინაგან საქმეთა სამართლიანად განყოფილებაში აღიარა სისხლის სამართლის საქმე. საგულდაგულო ძიებამ, მოწმეთა ჩვენებამ, დაპირისპირებებმა, შედეგად კი სასამართლო პროცესმა დაადგინა ა. დოლიძის დანაშაულობანი, რომელსაც ათი წლის თავისუფლების აღკვეთა მიეჯარა.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ძიების შედეგად დადგენილ დანაშაულობათა მომენტების დაწვრილებითს აღწერას. მათ შესახებ ნათლად ითქვა საბრალდებო დასკვნაში, ყოველივე ეს სასამართლო პროცესზე და განაჩენშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. აქ უყრადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმაზე, რომ მაშინ, ამ დანაშაულის ჩადენის გამო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს, საკმაოდ მკაცრი და სამართლიანი ზომებიც მიიღეს. კერძოდ, ყველა, ვინც დაბადების დღეზე იყო და ქეიფში მონაწილეობდა, რასაც მკვლელობა მოჰყვა, გაირიცხა ინსტიტუტიდან და კომკავშირის რიგებიდან.

და თითქოს ყოველივე ეს კანონზომიერი ღონისძიება იყო. თუმცა შემდეგ სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს გარიცხულთათვის ბრალდებად კონკრეტულად ხისხლის სამართლის დანაშაულში მონაწილეობა არ წაუყენებიათ, მაგრამ მათ უთუოდ მორალური პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, რადგან კოლექტიურ ქეიფში მონაწილეობდნენ და სწორედ ამის შედეგად წარმოიშვა ჩხუბი, დაიღუპა ადამიანი.

ეს სამწუხარო ამბავი მაშინ ქალაქ სტავროპოლში ძალიან გახმაურდა და ჩვენი ზოგიერთი თანამემამულის შესახებ არცთუ ისე სახიამოვნო ხმები დადიოდა. ცხადია, ეს ბუნებრივიც არის. რაც უნდა ყოფილიყო, სულ სხვანაირი ულერადობის ფაქტი მოხდა — დაიღუპა ისეთი ადამიანი, სპორტსმენი, რომელსაც მთელი ქალაქი იცნობდა.

უთუოდ დიდად დასანანი და ბევრისმთქმელი სამწუხარო შემთხვევაა.

ჩვენ ძალიან გულახდილი და საინტერესო საუბარი გვქონდა ინსტიტუტის პარტიულ კომიტეტში, სადაც ამ ამბავთან დაკავშირებულ საკმეებს ვეცნობოდით.

— არ იფიქროთ, თქვენი რესპუბლიკიდან ჩამოსულ ყველა ახალგაზრდას, რომლებიც აქ სწავლობენ, ცუდი ავტორიტეტი ჰქონდეს, — გვითხრა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. კამენშიკოვმა. და მან სიამოვნებით დაგვისახელა და თან სათითაოდ დაგვიხასიათა კარგი, წარჩინებული ქართველი სტუდენტები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ინსტიტუტის ცხოვრებაში, სანიმუშო ქცევითა და საზოგადოებრივი საქმიანობით ყველას მისაბაძნი არიან. ასეთები არიან სტუდენტები გიორგი კაკულია, გიორგი ყორუაძე, ბორის ჩიქოვანი, ირინე ტოგოშვილი, რიტა დათიშვილი, ვიტალი ორჯონიკიძე, ვიქტორ მაღლაკელიძე, რუსლან ნიკოდიმოვი...

ცხადია, ჩვენც დიდი სიამოვნებით მოვისმინეთ კეთილი სიტყვები იმათზე, ვინც პატივისცემით არის გარემოსილი იქ, ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გვეამაყება ჩვენც და იმ პედაგოგმასწავლებლებსაც, ვინც მათი აღზრდისა და დახელოვნების საქმისათვის ძალ-ღონეს არ ზოგავენ.

მაგრამ ისიც გვითხრეს, რომ უბედური შემთხვევით დასრულებული იმ ქეიფის მონაწილეთა ზოგიერთმა მშობელმა განცხადებებითა და სარჩივრებით პირდაპირ აიკლო სხვადასხვა ზემდგომი ინსტანციები, ჩვენი შვილი უმწეოულოა და აუცილებლად უნდა აღადგინონ ინსტიტუტშიო.

ჩვენ საშუალება გვქონდა გავცნობოდით გარიცხულთა პირად საქმეებს. დავრწმუნდით, რომ ზოგიერთი მათგანის მიმართ უფრო ადრე მკაცრი ზომების მიღებაც კი იყო საჭირო, რადგან აკადემიურად ჩამორჩებოდნენ და არც ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის ცხოვრებაში მონაწილეობდნენ. და თქვენ წარმოიდგინეთ, იმ სამწუხარო ფაქტის შემდეგ გამძიებასაც კი არ დაუმარნენ ჭეშმარიტების დადგენაში.

ჰოდა, საკვირველია, რომ ასეთი შვილების მშობლებს, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სინდისი არ ქეჯნიდათ, სრულებითაც არ ნაღვლობდნენ იმ ადამიანების უბედურებას, ვისი შვილიც დაიღუპა, ვინც მოქეიფეთა ჩხუბმა შეიწირა.

დიახ, ნათქვამი რომ არის — სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირია, სწორედ ისეა.

ერთი საგანგაშო სიგნალის ქვალდაქვალ

სტავროპოლელი ამხანაგების არანაკლები გაოცება გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი საკმაოდ ცნობილი ადამიანის მოქმედებამ, უთუოდ უტაქტო და დაუფიქრებელმა ქცევამ. ეს განსაკუთრებით ითქვა იმათზე, ვინც არსებული მდგომარეობის გაუთვალისწინებლად ქომაგად დაუდგა გარიცხულებს, ოფიციალური შუამდგომლობით, უშუალო პირადი ვიზიტებით, ტელეფონით ღამითა თუ დღისით, შინ თუ სამსახურში მოსვენება არ მისცა სტავროპოლის სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, სამხარეო პარტიულ ორგანოებს და ყველა ღონეს მიმართავდა, რათა მიეღწია გარიცხულთა აღდგენისათვის. ისიც ითქვა, რომ ზოგიერთები უთუოდ გადაჭარბებულად აფასებდნენ თავიანთ მდგომარეობას და საკმაოდ აქტიურად ერეოდნენ აღგილობრივ ორგანოთა საქმეში.

გვიძნელდება ჩვენს სახელოვან ადამიანებზე აუგის თქმა, მაგრამ, ვფიქრობთ, საერთო საქმის სასარგებლოდ საჭიროა გულახდილად ვუთხრათ ყველას, რომ ისეთების თავგამოდებით გამოქომაგება, რომლებსაც ჯერ არ დუმსახურებიათ პატივისცემა და მზრუნველობა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უხერხულია, თანაც ეს საზოგადოებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასაც ნიშნავს. მაგალითად, უთუოდ ნაადრევი მზრუნველობა გამოიჩინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. მეუნარგიამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ე. ახუბამ, რომლებმაც შუამდგომლობით მიმართეს სტავროპოლის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელობას ზოგიერთი გარიცხული სტუდენტის აღდგენის თაობაზე. ისიც აღსანიშნავია, რომ ვ. მეუნარგიას პირადადაც მიუკითხავს სტავროპოლში — ინსტიტუტში, იქაურ პარტიულ ორგანოებში. შემდეგ, როგორც გვითხრეს, ტელეფონის ზარითაც თავი შეაწუხა ამხანაგებს. მაგრამ მაინც ყოველთვის უარს ეუბნებოდნენ და მოთმინებით განუმარტავდნენ — რომ ნაადრევ შუამდგომლობებს ვერ გავიზიარებთ და ვერ დავაკმაყოფილებთო, რომ ამ საქმის განხილვის დროც მოვაო. ამ საკითხზე, სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის გმირს, ჩვენს სახელოვან მელიტონ ქანთარიასაც შეუწუხებია თავი, სტუმრებია სტავროპოლს, მაგრამ მისთვისაც ასევე დინჯად განუმარტავთ ნამდვილი მდგომარეობა და ხელცარიელი დაბრუნებულა შინ.

ინსტიტუტის რექტორატში ვნახეთ შუამდგომლობები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანოსაგან გაუგზავნია გარიცხულთა აღსადგენად. ასეთ შუამდგომლობებსა და დახასიათებებს ხელს აწერენ ხოხუმის მეორე საავადმყოფოს მთავარი ექიმი ვ. ტუმა, ამავე საავადმყოფოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ე. ასლანიძა, ზუგდიდის ქალაქის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ა. კაკულია, ამავე საავადმყოფოს ადგილკომის თავმჯდომარე კ. ჯგუშია, ოჩამჩირის რაიონის მერკულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. გუნია, ოჩამჩირის რაიონის მთავარი ექიმი ი. ეზუგბაია, მერკულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ხ. ჩარაია, ამავე მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. წვიტა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი რ. ქობალია და სხვ. სხვათა შორის, ამ კომკავშირულმა ორგანიზაციამ გარიცხულთა რიგებშიც კი აღადგინა.

გვინდა მკითხველს გულახდილად ვუთხრათ, რომ შეიძლებოდა სტავროპოლში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევაზე არაფერი დაგვეწერა, რადგან ეს კარგა ხნის ამბავია და თავის დროზე სათანადო ზომებიც იქნა მიღებული. მაგრამ არ ივარგებდა იმის უთქმელობა, რომ, როგორც აქ გვითხრეს, ზემდგომი და ადგილობრივი ორგანოები პირდაპირ აიკლეს საპროტექციოდ თუ საჩივრებით ჩასულებმა. მსუბუქი ავტომანქანების ქარავანს თუ თვითმფრინავებს ახალ-ახალი ჯგუფები ჩამოუვიდა შუამდგომლობებისა და პირადი თხოვნის წარსადგენად. და ბოლოს, როცა სტავროპოლელმა ამხანაგებმა ვეღარ შეძლეს პროტექციონერთა მოგერიება, მოგვაწვდინეს ხმა — დაგვეხმარეთ, დაგვიცავით შემოსევებისაგან.

ვფიქრობთ, ნამდვილად დასაძრახია ამ ადამიანთა საქციელი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ძალიან ულამაზოდ გამოიყურება იმ დიდი მუშაობისა და სახიკეთო ძვრების ფონზე, რომლებიც ახლა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს. ერთი სიტყვით, საკუთარი ემოციებითა და განწყობილებებით არ უნდა მივუდგეთ საზოგადო საქმეს.

ასეთი ფაქტები იმითაც არის ყურადსაღები, რომ ისინი აშკარა პროტექციონიზმის გამოვლინებას წარმოადგენენ, რაც ჩვენში ჯერ კიდევ მაინც საკმაოდ გავრცელებული სენია. მუშაობის სხვა სფეროშიც მოიპოვება იმის მაგალითები, როცა ზოგიერთი ბოროტად იყენებს თავის საზოგადოებრივ მდგომარეობას და არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მოძმე რესპუბლიკების პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს მიმართავს ხოლმე ისეთ საკითხებზე, რომელთა მოგვარება და გადაწყვეტა მას არ ეხება, მის კომპეტენციაში არ შედის და ვიღაცეების თხოვნითა და დავალებით სჩადის ამას.

აქვე არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არა ვთქვათ იმათზე, ვინც ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასწავლებლად თუ სამუშაოდ მიდის ხოლმე. სწავლა, ცოდნის შეძენა, საზოგადოებისათვის სასარგებლო მუშაობა, რა თქმა უნდა, სანაქებო საქმეა. მაგრამ ცუდი და უხერხული ის არის, რომ ზოგიერთ მათგანს აღცთუ ისე ღირსეულად უჭირავს თავი და თავისი მოქმედებით არცხვენს აღმზრდელებსაც და იმ მხარესაც, სადაც ისინი დაიბადნენ და აღიზარდნენ. ამის მაგალითები, სამწუხაროდ, არცთუ ისე ცოტაა. ვფიქრობთ, სწორი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ზოგიერთის უღირს საქციელში მშობლებსაც და აღმზრდელებსაც მიუძღვით ბრალი.

ჩვენ ამ წერილში მხოლოდ დაუფიქრებელ შუამდგომლობებსა და აქედან გამომდინარე პროტექციონიზმის გამოვლინებებზე, აღმზრდელისა და აღზრდილის არცთუ ისე სანაქებო საქმეებზე გვქონდა საუბარი. ვფიქრობთ, ჯანსაღი, პრინციპული და ამასთან მეგობრული კრიტიკა უნდა დაგვეხმაროს შრომაში, საზოგადო მოღვაწეობაში, სახიკეთო საქმეებისათვის ზრუნვაში.

საკუთარი თვალით დანახულითა და განცდილით კიდევ უფრო გულნატკენები, უხერხულობის მწარე გრძნობებითა და ფიქრებით დაბრუნდით სტავროპოლიდან. ჩვენ გვესმის, რა წუხილსა და უსიამოვნებას განაცდევინებს ამ წერილის წაკითხვა იმათ, ვისაც იგი ეხება. მაგრამ ვფიქრობთ, საერთო საქმის, ჩვენი მომავალი მუშაობის წარმატებისათვის აუცილებელი იყო, თუმცა რამდენადმე გვიან, მაგრამ მაინც გვეთქვა ის, რაც ვნახეთ და განვიცადეთ.

ბ. ჩიქვინიძე,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.
სტავროპოლ-თბილისი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲓᲦᲔᲡ



თბილისი. ვარაზის ხევის ერთ-ერთი კუთხე.

ე. ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲑᲔᲚᲝᲖᲔᲠᲡᲙᲘ—ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘ

მეგობროგის ნაყოფი

25 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც უკრაინის სსრ ბელოზერსკის რაიონისა და აპარის ასსრ ხელვაჩაურის რაიონის მშრომელებს შორის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა.

ახლახან ხელვაჩაურის რაიონში ჩამოვიდა ბელოზერსკელთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პარტიის ბელოზერსკის რაიკომის პირველი მდივანი გ. ვიხრიკი. ძვირფას სტუმრებს საზეიმო შეხვედრა მოეწყვიან რაიონის ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობის — ახალშენის მშრომელებმა. პოფლის ცენტრში გაიმართა მეგობრობის მემორიალის საფუძველის ჩაყრისადმი მიძღვნილი ცერემონიალი.

შეჯიბრების 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა ხელვაჩაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. ინიაშვილმა. მიტინგზე ილაპარაკეს მეგობრული ურთიერთობის შედეგებზე. ბელოზერსკელები ხელვაჩაურელებს დაეხმარნენ მაღალპროდუქტიული ჯიშის პირუტყვით ფერმების შევსებაში. ამის საფუძველზე ხელვაჩაური აპარაში მეცხოველეობის დარგში ერთ-ერთი მოწინავე გახდა.

ბელოზერსკის რაიონში ხელვაჩაურელთა დახმარებით გაშენდა მეგობრობის ბაღი, სადაც ხარობს ქართული ვაზი.

სტუმრები ეწვივნენ სარფის, ჟირნათის, გონიოს, ერგეს, მახინჯაურის, სალიბაურის კოლექტიურ მეურნეობებს, გაეცნენ მათს ეკონომიკას, კულტურას, ყოფაცხოვრებას, ესაუბრნენ მშრომელებს.

ბელოზერსკელ მშრომელთა დელეგაცია მიიღო პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲘᲜᲓᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ

ხობი. (საკ. კორ.). რაიონის ჩაის ფაბრიკების ნახელავი ყოველწლიურად იგზავნება ინდილისა და პოლონეთში. საიუბილეო წლის პროდუქცია — 80 ტონა შავი ბაიხაო ჩაი გაიგზავნა პოლონეთში, ხოლო 40 ტონა — ინგლისში.

ინგლისელებმა დამატებით 20 ტონა ჩაის პროდუქციაზე დაკვეთა შემოთვალეს. აღსანიშნავია, რომ საჯიჯაოსა და ხობის ჩაის ფაბრიკებმა საიუბილეო წლის მოსავალი — 8.040 ტონა ჩაის ფოთოლი უდანაკარგოდ და ხარისხოვნად გადაამუშავეს, პროდუქციის ასორტიმენტის გაუმჯობესებით დიდძალი მოგება მიიღეს.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **გ. ნ. გიგაური** დანიშნა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **ჯ. ა. ჩარკვიანი** დანიშნა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **ვ. ფ. ხიშა** დანიშნა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრად მოადგილედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

ᲡᲮᲕᲐ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲓᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲚᲐᲜᲔᲗᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲕᲪᲮᲠᲝᲕᲠᲝᲑᲗ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲚᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲐ.

ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ დედამიწაზე 4 მილიარდ 200 მილიონი კაცი ცხოვრობს. 1978 წლის მანძილზე პლანეტის მოსახლეობა 83 მილიონით გაიზრდება. მაგრამ მოსახლეობა ყველა კონტინენტზე თანაბრად არ მატულობს. ეს ზრდა ყველაზე ნელია ევროპაში — წელიწადში მხოლოდ 0,6 პროცენტი, აზიის აღმოსავლეთ რაიონებში — 1,65, აფრიკაში — 2,64, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 2,7 პროცენტი. ყველაზე სწრაფად მოსახლეობა ლათინურ ამერიკაში მატულობს — 2,71 პროცენტი.

თუ 1950 წელს ევროპაში დედამიწის მოსახლეობის მეოთხედი ცხოვრობდა, ამჟამად მხოლოდ მეხუთედი ცხოვრობს. სამაგიეროდ ევროპელნი ყველაზე დღეგრძელნი არიან. მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 71 წელია, ლათინურამერიკელისა — 63 წელი, აფრიკელისა — 46 წელი. საერთოდ დედამიწაზე ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 55 წელს შეადგენს.

ე. ნიკოლაევი.

პარიზი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲐ

ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲰᲘ ქალაქ მოულმეინის სტადიონზე ადგილობრივი ფეხბურთის გუნდების თამაშის დროს, როცა ერთ-ერთ მოთამაშეს ის-ის იყო ბურთი უნდა დაერტყა კარში და გოლი, თითქოს, გარდუვალი იყო, მსაჯმა თამაში შეაჩერა. მაყურებლები, ცხადია, აღშფოთდნენ. მაგრამ მატჩის შეჩერების მიზეზი დიდად საპატიო აღმოჩნდა. საქმე ის გახლავთ, რომ ზუსტად იმ მომენტში, რომელსაც გოლი უნდა მოპყოლოდა, ერთ-ერთმა მოთამაშემ მეკარის ზურგს უკან თავდასხმისათვის შემართული კობრა შენიშნა და ყვირილი ატეხა. თამაში მხოლოდ მას შემდეგ გაგრძელდა, რაც უხსენებელი მოეფინდა გაამეკვეს.

„იზვესტია“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲒᲐᲗᲣᲛᲘ, სოხუმში და გაგრაში ერთდროულად აიღეს სტარტი ჭაბუკთა საკავშირო ტურნირებმა ფეხბურთში. ამ ტურნირებიდან განსხვავებით, ტყიბულში ტარდება საქართველოს პირველობა ძინი-ფეხბურთში რესპუბლიკის ბავშვთა და ჭაბუკთა საფეხბურთო სკოლების გუნდებს შორის.

ბაკურიანში დაიწყო ტურნირი ტრამპლინიდან ხტომაში ჭაბუკთათვის, გარდა ამისა, იასპარეზებენ ოსტატები, რომლებიც რესპუბლიკის თასისათვის შეეცილებიან ერთმანეთს. შემდეგ კი სამთომოთხილამურენი გამართავენ შეჯიბრებას ორეულში, ხოლო თვის დამლევს გაიმართება ორი საკავშირო შეჯიბრება — სსრ კავშირის თასზე მოთხილამურეთა ორეულში და თხილამურებით რბოლაში.

იანვრის განმავლობაში თბილისში, ბათუმში, ზესტაფონში, სამტრედიასა და სოფელ ნუკრიანში სპორტის მოყვარულნი ნახავენ სჭეკასასვლა მასპტბანის შეჯიბრებებს ჩოგბურთსა და ბაგიდის ჩოგბურთში, ხელბურთში, ფრენბურთში, ფარიკაობაში, ძძლეოსნობაში, კლასიკურ, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში.

განსაკუთრებით საინტერესოა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. თბილისში ჩამოვლენ საზღვარგარეთის მეფი რიგი ქვეყნების უძლიერესი მოჭიდაკეები და „ოლიმპიური იმედები“. ასეთია ახალი წლის პირველი თვის სპორტული კალენდარი.

რესპუბლიკური კალენდარი, რომელიც საქართველოს სპორტკომიტეტმა დამტკიცა, თვალისწინებს შეჯიბრების ჩატარებას სპორტის 49 სახეობაში. აქ ოლიმპიურისა და არაოლიმპიურის გარდა შედის სპორტის მთელი რიგი ეროვნული სახეობანი — ქართული ჭიდაობა, ელეო, ისინდი, ცხენბურთი, მარული და სხვა.

თებერვლის კალენდარი საინტერესო იქნება ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირით, რომელზეც მოელიან იაპონიის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების უძლიერეს ათლეტთა გამოსვლას. თბილისის სპორტის სასახლე მიიღებს კრიზეში სსრ კავშირის პირველობის მონაწილეებს, სადაც თბილისელები წელს პირველად ნახავენ რინგზე 1977 წლის № 1 ქართველ სპორტსმენს, ორგზის სსრ კავშირის ჩემპიონსა და ევროპის ჩემპიონს დ. კვაშაძეს.

თბილისში გაიმართება ერთ-ერთი უდიდესი ასპარეზობა—სსრ კავშირის პირველობა, მძლეოსნობაში და მთელი რიგი სხვა შეჯიბრებანი. (საქინფორმი).

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „შაბათის სპორტლოტოს“ (36-დან 5) 31 დეკემბერს გამართული 53-ე ტირაჟის შედეგები.

1-ლი ტირაჟი: იმათთვის ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა 4.710 მანეთი (27 ბარათი); ოთხი ნომერი — 108 მანეთი (2.035 ბარათი); სამი ნომერი — 5 მანეთი (56.596 ბარათი).

მე-2 ტირაჟი: იმათთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა 5000 მანეთი (12 ბარათი); ოთხი ნომერი — 139 მანეთი (2.067 ბარათი); სამი ნომერი 5 მანეთი (56.616 ბარათი).

„შაბათის სპორტლოტოს“ 53-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწყება 11 იანვრიდან 11 თებერვლის ჩათვლით. (საკადესი).

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი და თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

თამარ მიხეილის ასული ბაგაკიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 38 ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲔᲛᲝᲒᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲡᲐᲣᲙᲗᲐᲕᲘ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲡᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲡᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ: 1. ᲛᲔᲠᲔ ᲓᲚᲔᲑᲘ, 2. ᲮᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ.

სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე. სწავლების ვადა 8,5 თვეა. მოსწავლეებს, რომლებსაც ეძლევა ეროვნული აკადემიური მოსწრება ეძლევათ, მიეცემათ სტიპენდია 95 მანეთამდე, ამასთან დამატებით მიიღებენ საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებულ თანხის 33 პროცენტს.

კურსდამთავრებულები გაიგზავნებიან სამუშაოდ დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში სპეციალობის მიხედვით. რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

საბეჭდების მიღება დაიწყო 1 იანვრიდან 9-დან 17 საათამდე.

სწავლა დაიწყება 1 თებერვალს, განცხადება მიღებას შეიხსნება შემოტანილ უნდა იქნეს დირექტორის სახელზე, შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა, 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. სამხედრო ბილეთი, 5. პასპორტი, 6. ექვსი ცალი ფოტო სურათი (3X4 სმ).

სასწავლებლის მისამართია: ქ. თბილისი, კომკავშირის მეორე ქ. № 22. ტელეფონი: 74-22-91. ტრანსპორტი: ტრამვაი № 7, ავტობუსი: № 16, № 51.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — დილის ვარჯიში (მოსკოვიდან), 09.50 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: სატელევიზიო მრავალსერიანი მულტიპლიკაციური ფილმი „არიცია მზიურ ქალაქში“. VII სერია. პრემიერა (მოსკოვიდან), 10.05 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმები „გამარჯობა, მეზობელო!“ და „ბზიანეთი“, 10.55 — „კაკალი კრაკატუკი“ — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი (მოსკოვიდან), 12.05 — „საახალწლო ნაძვის ხე“. ტრანსლაცია თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან, 17.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 17.45 — განცხადებები, 17.50 — — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 18.10 — ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლესი“. XIII და XIV სერია (მოსკოვიდან), 19.00 — „რა ცვლილებები მოხდა 1977 წლის მსოფლიოს რუკაზე“, 19.15 — მულტიპლიკაციური ფილმი „აბა, დამაცადე!“. VI გამოშვება, 19.25 — „შეხვედრა სსრ კავშირის სახალხო არტისტ